ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## მკვლელობა ყიფშიძეზე



გვ.6

6 სექტემბრიდან
ანდრეი ბელი
პეტერბურგი


ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

სამშაბათი, 6 სექტემბერი, 2016 №211 (7137) ფასი: 50 თეთრი

# მიხეილ სააკაშვილი: „ოცნებას“ არჩევნები წაგებული აქვს“


გვ.2

თამარ ხიდაშელი:

## „ივანიშვილი უსუფაშვილის გადაბირებას ცდილობდა“



## „რეიტინგი ივანიშვილმაც დაკარგა“


გვ.3

თორნიკე შარაშენიძე: „ოცნებას კადრებში უჭირს“

„ამ არჩევნების შემდეგ შეიძლება მთელი პოლიტიკური სპექტრი გამოიცვალოს“

## შოთა მალაშხია: „ხალხს ტყუილი დაპირებები ყელში ამოუვიდა“


გვ.5

## არეულობა გორში

საკრებულოს თავმჯდომარე გადააყენეს


გვ.6



გვ.5

## ზუგდიდში სანდრა რულოვსს შეურაცხყოფა მიაყენეს

ISSN 1987-9385
9 771987 938006

## „ბიძინა ივანიშვილი აგონიაშია“


გვ.2

ბათუმში „გირჩის“ ოფისს კვერცხები ესროლეს


გვ.5


გვ.6

## ირაკლი ოქრუაშვილი რუსთავი 2-ზე პრეტენზიას აცხადებს

ქიბარ ხალვაში: „წარმოდგენილი „დოკუმენტი“ არის ნაციონალური მოძრაობის მორიგი სიყალბე“


გვ.6



გვ.4

გია ვოლსკი: „ნაციონალები გეგმავენ, როგორ შეიჭრან ღონისძიებებზე, შეხვედრებზე და მოახდინონ პროვოკაცია“

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# მიხეილ სააკაშვილი: „ოცნებას“ არჩევნები წაგებული აქვს“

## თამარ ხიდაშელი: „ივანიშვილი უსუფაშვილის გადაბირებას ცდილობდა“

შორენა მარსაგიშვილი





გურიაში გამართული ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენცია ბათუმურ ვარიანტზე ბევრად სკანდალური აღმოჩნდა. ნაციონალებთან ერთად მას ყოფილი თანამებრძოლებიც შემოეკრიტიკა, რასაც მათ რიგებში დიდი ჟივილ-ხივილი მოჰყვა.

არანაკლები აჟიოტაჟი გამოიწვია მისმა განცხადებამ სიღარიბის დაძლევასთან დაკავშირებით. ექსპრემიერის განცხადებით, „ქუჩაში რომ გახვიდე, ღარიბს ვერ იპოვი“.

მისივე განცხადებით, „ქართულმა ოცნებამ“ ისეთი სიმშვიდე დაამყარა ჩვენს ქვეყანაში, რომ ევროპულ ქვეყნებსაც შურთ ჩვენი სტაბილურობის.

მთავრობის მუშაობით ის კმაყოფილია, სამაგიეროდ, ღიად უპირისპირდება ექსპერტებს და პოლიტიკოსებს.

– ქვეყნის პატრონი საზოგადოება უნდა იყოს და მან სწორი არჩევანი უნდა გააკეთოს. ძალიან გაერთო საზოგადოება და მესამე ძალას ეძებს. პოლიტოლოგები გამოდიან, რომელთა უმეტესობა ანალიზის აზრზე არ არის და ამბობენ, რომ მესამე ძალის შექმნის აუცილებლობაა, – ამბობს უკმაყოფილო ივანიშვილი.

ის ყოფილი ხელისუფლების მხარდამჭერების რაოდენობითაც უკმაყოფილოა.

– სირცხვილია, რომ 200.000 კაცი ისევ ნაციონალებს ელოდება. რა უნდათ, ისევ ცოცხებს ელოდებიან? – კითხულობს ექსპრემიერი.

„ქართული ოცნების“ დამაარსებელი მოსალოდნელ არეულობაზეც ალაპარაკდა. მისი მტკიცებით, სააკაშვილი თანაგუნდელებს სულ ამას უკიჟინებს.

– დესტაბილიზაციის საფრთხეს ვერ ვხედავ, მაგრამ მცდელობა ძალიან დიდია. დღეს ნაციონალური მოძრაობა მხოლოდ ამაზეა მოწოდებული. გარწმუნებთ, სააკაშვილი მხოლოდ ამაზე უკიჟინებს საკუთარ თანაგუნდელებს, რომ როგორმე სიტუაცია არიონ, რადგან მათ კარგად იციან, რომ არჩევნებში შანსი არ აქვთ.

4 წელიწადი მან შეინახა გუნდი ერთი რამით, გაზაფხულზე ამბობდნენ, რომ შემოდგომაზე მოვახერხებთ რევოლუციასო, შემოდგომაზე კი ამბობდნენ, გაზაფხულზე იქნებაო ეს და გადავიბარებთ ხელისუფლებასო.

შემდეგ ოთხ წელს სააკაშვილი დაპირებებით გუნდს ვერ შეინახავს. აღარავის აღარ უნდა სააკაშვილი, არავის აღარ უნდა მასეთი მმართველობა, შესაბამისად, მცდელობა არის ძალიან დიდი იმისა, რომ როგორმე სიტუაცია და ქაოსი შემოიტანონ, მაგრამ რესურსი არ გააჩნიათ, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ივანიშვილის პრესკონფერენციას უკრაინაში თვალს მიხეილ სააკაშვილიც ადევნებდა. ის ყოფილი პრემიერის ბრალდებას ოდესიდან გამოეხმაურა. მისი განცხადებით, არეულობა „ქართული ოცნების“ გეგმის ნაწილია.

– ივანიშვილმა და მისმა მარიონეტებმა დაიწყეს ძახილი, რომ თურმე ჩვენ ვამზადებთ არეულობას. როგორც წესი, ის მოწინააღმდეგეს აბრალებს თავის გეგმებს. ამ სურათზე კარგად ჩანს, როგორ არეულობას ვამზადებთ ჩვენ. არჩევნები ივანიშვილს წაგებული აქვს, რაც არ უნდა მოიმოქმედოს, – ნათქვამია სააკაშვილის განცხადებაში.

პრესკონფერენციაზე ივანიშვილმა ძველი დროც გაიხსენა, როცა ის და სააკაშვილი ერთად იყვნენ. მისი მტკიცებით, ისინი ერთმანეთს მოწინებით ეპყრობოდნენ.

– სააკაშვილს ჩემთან ძალიან მოწიწებითი დამოკიდებულება ჰქონდა. მეც არ მქონია უხეში დამოკიდებულება. მივიდოდი, მხვდებოდა, აუცილებლად მაცილებდა. თვალებში მიყურებდა, არაფერი მწყენოდა. ერთი უხეში სიტყვა არ უკადრებია არასდროს.

კომფორტულად ვიყავი წინა ხელისუფლებასთან, თუ მოვისურვებდი ხელისგულზე მატარებდნენ, მაგრამ ის, რაც მათ ქნეს და რა დღეშიც ჩააგდეს საზოგადოება, ეს ვერ ავიტანე და ამისთვის მოვედი პოლიტიკაში. ძალადობა იყო კულტი. დღესაც თუ ნახავთ, ძალადობას ვერ ანებებენ თავს. ესაა ნაციონალური მოძრაობის პრობლემა, – აღნიშნა ექსპრემიერმა.

* * *

ის ისევ დარწმუნებით ამტკიცებს, რომ არჩევნებზე მისი პარტია გაიმარჯვებს. განახლებული მაჟორიტარული სისტემა კი ცოტა აწუხებს.

– რა თქმა უნდა, ეს დამატებით სირთულეებს აჩენს, მაგრამ ხელისუფლება იძულებული იყო, რომ ეს რეფორმა გაეტარებინა. დიდი დისბალანსი იყო. სადღაც 200 კაცი ირჩევდა მაჟორიტარ დეპუტატს, სადღაც – 60.000. ევროპული სტანდარტებიდან იყო მოთხოვნა. პარლამენტმაც ასეთი კანონი მიიღო. ეს, რა თქმა უნდა, დამატებით პრობლემებს შექმნის. იმედია, რომ ჩვენი ამომრჩეველი, ჩვენი საზოგადოება არის საკმაოდ გამჭრიახი და იმედია, რომ ამ სირთულეებსაც გადავლახავთ, თუმცა ამან შეიძლება დამატებითი ხარვეზები გააჩინოს, – განაცხადა ივანიშვილმა.

მისი ღრმა რწმენით, „ქართულ ოცნებას“ საპარლამენტო უმრავლესობის მოსაპოვებლად პარტნიორი არ დასჭირდება. ამასთან ამბობს, რომ მისი პარტია ყველასთან ითანამშრომლებს.

– მთავრობის ჩამოსაყალიბებლად „ქართულ ოცნებას“ პარტნიორი არ დასჭირდება. ზოგადად პარტიამ ყველასთან უნდა ითანამშრომლოს თემატურად. ვისთან არ უნდა ითანამშრომლო და ვის უნდა ჩაეხუტო, ასე ხაზს არ გავავლებდი, – დებს პირობას „ოცნების“ ლიდერი.

მართალია თანამშრომლობას ყველასთან აპირებს, მაგრამ პარტიების დიდი ნაწილი არ მოსწონს. მათ შორის არც ყოფილი პარტნიორები. განსაკუთრებული უარყოფითი განწყობა რესპუბლიკელებისა და თავისუფალი დემოკრატების მიმართ გამოამჟღავნა.

მისი ანალიზით, რესპუბლიკელებს არ აქვს იმის რესურსი, სახელმწიფოზე იფიქროს და მათთვის ქვეყანა იწყება და მთავრდება იქ, სადაც მათი პარტია.

– ძველი პარტიაა, თანმიმდევრულობით გამოირჩევა, იცავენ ელემენტარულ წესებს, რაც პარტიას სჭირდება, ძალიან უყვართ პროცედურული დემოკრატია და ასე შემდეგ. სხვა დანარჩენი, ძალიან დაბალი რეიტინგი აქვთ მათ, ერთი პროცენტიც არ ეკითხება.

რესპუბლიკური პარტიისთვის სახელმწიფო იწყება იქ, სადაც იწყება ეს პარტია და სრულდება იქ, სადაც სრულდება ეს პარტია. მათთვის ილია ჭავჭავაძე არცთუ კარგი კაცია და ვიღაც დამპყრობელი არცთუ ისე ცუდი კაცია. განათლებით დამძიმებული თავებით, ასეთ შეფასებებს აკეთებენ. მათ არ აქვთ რესურსი სახელმწიფოზე იფიქრონ. ისინი ერთი ჯგუფის იდეალებში ხოტბას ასხამენ საკუთარ პარტიას. 5 წუთში ერთი პარტიის დახასიათება ძალიან რთულია, – აღნიშნავს ნაპრემიერალი.

ამ დახასიათებას რესპუბლიკელთა მხრიდან მყისიერი რეაქცია მოჰყვა. ივანიშვილი ჯერ დეპუტატმა თამარ ხიდაშელმა შეაჩვენა, ცოტა ხანში მას მხარი პარლამენტის თავმჯდომარემაც აუბა.

ხიდაშელი ექსპრემიერის გაღიზიანების მიზეზად მისი ბიძაშვილის ქმრის ანუ დავით უსუფაშვილის ფაქტორს ასახელებს.

მისი თქმით, ივანიშვილისთვის უმჯობესი იქნება, სხვა პარტიების კრიტიკის ნაცვლად „ქართული ოცნების“ მხარდაჭერით დაკავდეს.

– ივანიშვილი უსუფაშვილზე პიროვნულად არის ნაწყენი, რადგან ის, მიუხედავად რამდენიმე შემოთავაზებისა, რესპუბლიკური პარტიიდან „ქართულ ოცნებაში“ არ გადავიდა.

მე ვფიქრობ, რომ ეს ამ განაწყენების შედეგია და რატომ სთავაზობდნენ ბატონ უსუფაშვილს „ქართულ ოცნებაში“ გადასვლას, იმიტომ, რომ მას აქვს განსაკუთრებული უნარ-ჩვევები და სახელმწიფოებრივი ხედვა და ამას ამომრჩეველიც ხედავს, – განაცხადა თამარ ხიდაშელმა.

პარლამენტის თავმჯდომარე ივანიშვილის შეფასებებით უკმაყოფილოა და ვარაუდობს, რომ ყოფილი პრემიერი ჭორებს არის აყოლილი.

– ბიძინა ივანიშვილს ისეთივე უფლება აქვს იყოს კრიტიკული სხვა პარტიების მიმართ, როგორც მე მაქვს და ასევე, სხვა პარტიებს აქვთ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ბიძინა ივანიშვილი, როგორც ერთ-ერთი საარჩევნო სუბიექტის ლიდერი და მისი გამარჯვება-წარმატებისთვის მოღვაწე, ამ როლშია ახლა და მე არ მიკვირს, რომ ის სხვებს აკრიტიკებს.

მე მიკვირს ერთადერთი რამ ამ კომენტარებში, რომელიც 5 სექტემბერს მოვისმინე, როდესაც საუბარია ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის რე-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

## „ბიძინა ივანიშვილი აგონიაშია“



ნაციონალური მოძრაობის დეპუტატობის კანდიდატი ოზურგეთში დავით მჟავანაძე ბიძინა ივანიშვილის განცხადებას „არასერიოზულს“ უწოდებს.

– ბიძინა ივანიშვილი არის აგონიაში და არ იცის, რას ამბობს. მან ზუსტად მსგავსი განცხადება გააკეთა შუალედური არჩევნების დროს დაბა ნასაკირალში და ყველამ დავინახეთ, რომ იქ ჩვენი პარტიის წარმომადგენელმა გაიმარჯვა.

მსგავსი ელოდება 8 ოქტომბრის არჩევნებზეც, რის შემდეგაც „ქართული ოცნება“ პოლიტიკური რუკიდან ისევე გაქრება, როგორც „მოქალაქეთა კავშირი, – განაცხადა დავით მჟავანაძემ.

ინტერპრესნიუსი

## ეკა ბესელია: „მმართველ გუნდს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის თავისი კანდიდატი ეყოლება“




– მმართველ პოლიტიკურ გუნდს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის თავისი კანდიდატი ეყოლება. მიუხედავად იმისა, რომ ვიცნობ ზაზა რუხაძეს და ვიცი მისი მაღალი კვალიფიკაცია, ვფიქრობ, რომ მმართველ პოლიტიკურ გუნდს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის თავისი კანდიდატი ეყოლება.

ამის შესახებ ჟურნალისტებს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ, ეკა ბესელიამ, პარლამენტის თავმჯდომარის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად ზაზა რუხაძის დასახელების საკითხზე კომენტირებისას განუცხადა.

ბესელიას თქმით, „ქართული ოცნება“ საკუთარ კანდიდატს კონსულტაციების შემდეგ შეარჩევს.

– საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი წევრების არჩევა ჩვენთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. მიუხედავად იმისა, რომ მეც ვისურვებდი, 30 სექტემბერს, როცა 4 მოსამართლეს უფლებამოსილების ვადა ამოეწურება, საკონსტიტუციო სასამართლო სრულად იყოს დაკომპლექტებული, ვეჭვობ, რომ შესაძლებელი იყოს იმ წევრის არჩევა, რომელიც პარლამენტის კვოტაა და 76 ხმა სჭირდება.

რასაკვირველია, კარგად გვესმის ამ საკითხის მნიშვნელობა და გვინდა, რომ სრულფასოვნად და მაღალი ლეგიტიმაციით იყოს სასამართლო დაკომპლექტებული, ამიტომ კანდიდატებთან დაკავშირებით კონსულტაციები იქნება.

ჩვენ გვექნება სამუშაო პროცესი, როდესაც დავასახელებთ კანდიდატს, რომელიც იქნება ჩვენი გუნდის მხრიდან, თუმცა ძალიან გამიჭირდება იმის თქმა, ეს მოხდება თუ არა სექტემბერში, ვინაიდან, გამომდინარე წინასაარჩევნო პერიოდიდან, მაღალი კვორუმის მობილიზება პარლამენტში რთული იქნება, – განაცხადა ეკა ბესელიამ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატურის წარდგენის უფლება გამოიყენა და პარლამენტს ასარჩევად ზაზა რუხაძე შესთავაზა.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „რეიტინგი ივანიშვილმაც დაკარგა“

## თორნიკე შარაშენიძე: „ოცნებას კადრებში უჭირს“

ნონა ცაბაძე

ბოლო პერიოდის პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი **თორნიკე შარაშენიძე** აფასებს.

***– ბოლო პერიოდია საკმაოდ გააქტიურდა ბიძინა ივანიშვილი, რით ხსნით ამას? „ოცნებას“ არ აქვს რეიტინგი და მის გარეშე ეშინიათ? რატომ გახდა საჭირო მისი ფრონტის წინა ხაზზე წამოწევა?***

– „ოცნებას“ რეალურად ახალი არაფერი შეუთავაზებია მოსახლეობისთვის. ჯერჯერობით პროგრამაც არ აქვს. არც „ოცნების“ ახალ სახეებს მოუხდენია ამომრჩეველზე დიდი შთაბეჭდილება. ერთადერთი ჯოკერი, რაც აქვთ, ეს არის ივანიშვილი, მაგრამ ჯოკერს გამოყენება უნდა. ან ეს ჯოკერი რამდენად გაამართლებს, ესეც სხვა საქმეა.

***– რატომ, მანაც დაკარგა რეიტინგი?***

– ბოლოს მის ინტერვიუს ძალიან ცოტამ უყურა. როგორც ჩანს, ხალხმა დაკარგა მის მიმართ ინტერესი. სად ის რეაქცია, რომელიც ჰქონდა ივანიშვილის გამოჩენას თუნდაც ორი წლის წინ და სად ახლა. უზარმაზარი განსხვავებაა.

***– აღარ ხიბლავს ხალხს ივანიშვილი?***

– მოსახლეობას ნაკლებად აინტერესებს და ეს ფაქტია. მაინც იმოქმედა იმ ფაქტორმა, რომ ეს კაცი აქტიური პოლიტიკიდან გასული იყო. არაფორმალურად გავლენა სერიოზული ჰქონდა, თუმცა მისმა გასვლამ სერიოზულად იმოქმედა მოსახლეობაზე. ხალხს ივანიშვილი მიავიწყდა. ივანიშვილზე უფრო ხშირად ხალხი ხედავდა რუსთავი 2-ზე ივანიშვილის პაროდისტს. ასევე ივანიშვილმა თვითონვე დაკარგა აღქმა რაღაც-რაღაცების. კი ხვდებოდა მინისტრებს და ისმენდა მათგან ანგარიშებს, მაგრამ სულ სხვაა, როდესაც თავად ხარ პროცესებში ჩართული. ეს საბოლოო ჯამში აისახა იმაზე, რომ ხალხი დიდი ინტერესით აღარ ელოდება მის გამოჩენას.



***– თქვენც ახსენეთ ივანიშვილის არაფორმალური მმართველობა, რაზეც ის ოპონენტებს პასუხობს: როდესაც ჩემს არაფორმალურ მმართველობაზე საუბრობენ, მე სააკაშვილს უფრო მეტ კონსულტაციებს ვაძლევდი და უფრო მეტს ვეხმარებოდი, ვიდრე დღევანდელ ხელისუფლებასო.***

– მაშინ რა გამოდის, სააკაშვილს ეგ მართავდა?! საინტერესოა. მის ადგილას სააკაშვილის სახელს ასე ხშირად არ ვახსენებდი. როცა „ოცნების“ ზოგიერთი აქტივისტი წამოაძახებს ვინმეს, სად იყავი 9 წელიო, მაშინ იგივე კითხვა ივანიშვილსაც უნდა დაუსვან. ეს ნათქვამი ნამდვილად არ იყო დადებითი, მისთვის კარგს ნამდვილად არ მოიტანს. გამოდის, რომ სააკაშვილი მისი მითითებებით მოქმედებდა. თუ უფრო მართავდა სააკაშვილს, ვიდრე ახლა მართავს კვირიკაშვილს, მაშინ კარგად ყოფილა საქმე!

***– ანუ ვერ აცნობიერებს, რომ ეს განცხადებები მისთვის წამგებიანია?***

– ის ამოვარდნილია ფორმიდან. იმის გამო, რომ მოწყდა რეალურად პროცესებს. თუ გინდა, რომ პოლიტიკაში იყო, მაშინ 24 საათიან რეჟიმში ჩართული უნდა იყო პროცესებში და არა ის, რომ ნახევარი საათით ხვდები ვიღაცას და ანგარიშებს ისმენ. მისი განცხადებები, მე მგონი, ფორმიდან ამოვარდნის ბრალია.

***– არ აქვს სრული ინფორმაციები?***

– ვაკუუმში ნამდვილად არ არის. მას ისეთი ინფორმაციები აქვს, რაც ჩვენ არ გვაქვს, მაგრამ ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ყველა ცდილობს ასიამოვნოს და მხოლოდ კარგი უთხრას. ეს მოსდის ყველა მმართველს, თუ მმართველი უშუალოდ არ არის ჩაბმული პროცესებში. თუ ასე არ არის, მაშინ ძალიან მარტივია, რომ ის მოატყუოს მისმა გარემოცვამ. ეს ყველაფერი უკვე თავის როლს თამაშობს.

***– თქვენ საუბრობთ, რომ „ოცნების“ ახალი სახეებით არ მოხიბლულა საზოგადოება, თუმცა სიის საბოლოო ვარიანტი ჯერ არ გამოქვეყნებულა.***

– გვახსოვს ყველას, რომ რამდენიმე ახალი სახე წარგვიდგინეს თვეების წინ. დიდი შთაბეჭდილება ამ ადამიანებს ჩემზე არ მოუხდენიათ. ამას გარდა, რამდენიმე ისეთი სახე ვიხილეთ მათ მიერ წარდგენილი მაჟორიტარებად, რომ ჯობდა არ გამოეჩინათ საერთოდ! აშკარაა, რომ კადრებში ძალიან უჭირთ!

***– მთავარი ინტრიგა მაინც ის არის, თუ ვინ იქნება „ოცნების“ პირველი ნომერი. ვრცელდება ინფორმაციები, რომ თითქოს ღარიბაშვილი ჩაუდგება სიას სათავეში, ზოგი სერგეენკოს ასახელებს. რას ფიქრობთ თქვენ?***

– დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება ნომერი პირველი. პირველი არაფორმალურად ივანიშვილია, ეს ყველამ იცის. ჩასვამენ კვირიკაშვილს, ღარიბაშვილს თუ სერგეენკოს, ეს მეორეხარისხოვანია. თუმცა ღარიბაშვილის ჩართვით მოხდება მობილიზება იმ ხალხის, ვისაც ეძახიან ულტრა ქოცებს.

***– ეს რა კატეგორიაა?***

– ეს არის ხალხი, ვინც ძირითადად ყველაფერზე წივის და კივის და მათი ერთადერთი არგუმენტია 9 წელი. ამათ ეძახიან ულტრა ქოცებს. იმათი მობილიზება რეალურად უფრო მოხდება ღარიბაშვილით, ვიდრე კვირიკაშვილით.

***– რატომ, კვირიკაშვილი უფრო ნეიტრალური ფიგურაა?***

– კვირიკაშვილი უფრო კომპრომისული ფიგურაა, ხოლო ღარიბაშვილი დაკავებული იყო იმით, რომ ავლებდა საზღვრებს და ამით გარკვეული სეგმენტის მობილიზაციას ახდენდა და ამას ნუ დავუკარგავთ.

***– „ოცნება“ ოთხი წელია ხელისუფლებაშია და ივანიშვილი მთავარ ოპონენტად კვლავ ნაციონალურ მოძრაობას ასახელებს. ცდილობს, ისევ შუა გაიკრიფოს? ისევ ორპოლუსიანი პარლამენტი მივიღოთ?***

– რეალურად საფრთხეს ვინც უქმნის „ოცნებას“, ეს მაინც ნაციონალური მოძრაობაა. სხვასთან ყველასთან შეუძლია „ოცნებას“ რაღაცნაირად კოალიციაში შევიდეს, კომპრომისი ყველასთან შეუძლია „ოცნებას“, გარდა ნაცმოძრაობისა. ამიტომაც მთავარ საფრთხეს ხედავს ნაცმოძრაობაში.

***– სულ ისმის კითხვა, ვის თამაშს თამაშობს ბურჭულაძე და მისი გაერთიანება?***

– ამ გაერთიანებას არ აქვს მყარი იდეოლოგიური საფუძველი. იმათ, ვინც ნაცმოძრაობისგანაა, აერთიანებთ სერიოზული რაღაცები, ხოლო რაც შეეხება ახლად შექმნილ გაერთიანებას, იგივე ბურჭულაძის, მათ არცთუ ისე ბევრი რამ აერთიანებთ, გარდა იმისა, რომ მოხვდნენ პარლამენტში, ერთმანეთს დაეხმარონ. პარლამენტში რომ მოხვდებიან, შემდეგ რა მოხდება, ეს უკვე ძნელი სათქმელია.

***– სწორედ აქ არის ინტრიგა, ვის გუნდში აღმოჩნდებიან პარლამენტში მოხვედრის შემთხვევაში?***

– ჯერ უნდა ვიკითხოთ, დაიშლებიან თუ შეინარჩუნებენ ერთობას?! აქედან დავიწყოთ.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ ვერ შეინარჩუნებენ?***

– არ ვიცი. ალბათ 50%-ია შანსი, რომ შეინარჩუნონ ერთიანობა. გააჩნია, რა მოხდება, ვინ გავა პირველ ადგილზე, აქედან გამომდინარე მიიღებენ გადაწყვეტილებას.

***– რამდენად მშვიდად ჩაივლის დარჩენილი ერთი თვე? ვის რა შანსი აქვს? ივანიშვილმა ხაინდრავას ფილმზე გაამახვილა ყურადღება, ყველამ უნდა ნახოს, წარსული გაიხსენონ და სწორი არჩევანი გააკეთონო. ანუ ისევ ამაზე კეთდება აპელირება?***

– ამ მთავრობის უბედურება სწორედ ეს არის, რომ მთავარი არგუმენტი მაინც ის 9 წელია. ეს ცუდია. ივანიშვილმა ამ ფილმში ჩადო ფული და რომ არ გაუშვას, ფული ელემენტარულად დაიკარგება. მეორე მხრივ, ისე არ მოხდეს, რომ ამ ფილმმა უარესი შედეგი მოიტანოს.

***– რამდენად ელით დაძაბულობას ამ ერთი თვის განმავლობაში?***

– დაძაბულობა წამოვა იმ მხარიდან, რომელსაც შეეშინდება, რომ შეიძლება არჩევნები წააგოს დაძაბულობის გარეშე. ჩემი აზრით, ამ ეტაპზე მმართველ გუნდს კიდევ აქვს დარჩენილი მოგების შანსი, თუ შეცდომებს არ დაუშვებს. თუ იქნება მშვიდი, კონსტიტუციური გარემო, არჩევნების მოგების შანსი ჯერ კიდევ აქვთ! თუმცა არეულობას, სამწუხაროდ, მაინც ველოდები და ველოდები მათგან, ვისაც შეეშინდება, რომ არჩევნები წააგოს.

# მიხეილ სააკაშვილი: „ოცნებას“ არჩევნები წაგებული აქვს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

იტინგზე, მხარდამჭერთა რაოდენობაზე და ა.შ. ამ თემაზეც ძალიან ბევრი გვისაუბრია მე და ბატონ ბიძინას და შევთანხმებულვართ იმაზე, რომ ქვეყანა ვერასოდეს წავა წინ, თუ იგი არ გათავისუფლდა ჭორების გამავრცელებელი მანქანისგან და რომ ეს მანქანა, სამწუხაროდ, ქვეყანაში საკმაოდ მძლავრობს.

მე ვწუხვარ, რომ თავად ბატონი ბიძინა აღმოჩნდა ამ მანქანის მსხვერპლი და დღეს ქართულ საზოგადოებას ეუბნება იმას, რომ თურმე მე ან რომელიმე რესპუბლიკელს ილია ჭავჭავაძე ცუდ კაცად მიგვაჩნია. ეს არ არის სახელმწიფოზე ლაპარაკი, ეს არის ჭორების აყოლა, მე არ ვაპირებ ამაში გავყვე. რაც შეეხება სახელმწიფოსთან დაკავშირებულ საკითხებს, ამაზე წერილობით უახლოეს დღეებში მოგახსენებთ, – ასეთია პარლამენტის თავმჯდომარის პოზიცია.

„ქართული ოცნების“ ლიდერმა არც თავისუფალი დემოკრატები დაზოგა. მისი თქმით, ამ პარტიამ საკუთარი სახე აჩვენა. ივანიშვილის განცხადებით, ირაკლი ალასანიას განცხადებები ხშირად თანხვედრაშია გიგა ბოკერიას განცხადებებთან:

– ისინი იყვნენ კოალიციის წევრები. გავიხსენოთ, როგორ გადადგნენ, როგორი რიხით წავიდნენ, ამბობდნენ, რომ პროდასავლური მიმართულება შეცვალა „ქართულმა ოცნებამ“, რამდენიმე კვირის შემდგომ კი ლამის ბოდიშების მოხდა მოუწია, არ გვქონდა ეს მხედველობაშიო – აშკარად ვერ ჰქონდათ დალაგებული და გააზრებული ყველაფერი.

მათი ლიდერი მუდამ ამბობდა და ამბობს იმას, რომ ივანიშვილის პირადი პატიმრები არიან კაბელების საქმეზე დაკავებული ადამიანები. მინდა გავიხსენო, რომ მისი მინისტრობის დროს, თავდაცვაზე უამრავი განცხადება იყო, იქ ხალხი იწამლებოდა, ტენდერები არ ჩატარდა, ყველანაირად ვცდილობდი, რომ მას ეს პრობლემები მოეგვარებინა, მაგრამ ისე წამოვედი, რომ დალაგებული კიდევ არ ჰქონდა. ლიდერი ამდენ სიცრუეს საუბრობდი, კიდევ რამე დაეჯერება? ბოდიშიც არ მოუხდია, გუნდი მიყვება ლიდერის დინებას. სხვა დანარჩენი წევრები ერთ კაცზე მორგებული არიან და ცდილობენ, არ უღალატონ ალასანიას.

ასეთი გუნდი ჩვენ უფრო დიდი და ძლიერი გვყავს ცხვირწინ და ვუყურებდით 9 წელი. მივანიშნებ გუნდსაც და ალასანიასაც და სხვა პოლიტიკოსებსაც. ასეთი პარტია არ სჭირდება სახელმწიფოს მართვისთვის. ასეთ გუნდს მოსახლეობამ ხმა არ უნდა მისცეს, – განაცხადა ივანიშვილმა.

ყოფილი პრემიერის შეფასებებს უარყოფითად შეხვდა თავისუფალი დემოკრატების ლიდერი. ირაკლი ალასანია უსუფაშვილის მსგავსად მიიჩნევს, რომ ივანიშვილი ჭორაობას და ენების მიტან-მოტანას არის აყოლილი.

– მან კიდევ ვერ გაიაზრა, რა მოხდა 2 წლის წინ, ვერ დააზუსტა მიზეზები და ისევ რჩება ამ უსაფუძვლო ენის მიტან-მოტანის და ჭორაობის დონეზე და ვერ ამაღლდა საკუთარ თავზე და საკუთარ ეჭვებზე. ივანიშვილს არ სჭირდება თავისუფალი დემოკრატების მსგავსი პრინციპული პარტია.

ივანიშვილის განცხადებები პირდაპირ ადასტურებს იმას, რომ კაბელების საქმე თავიდან ბოლომდე პოლიტიზირებულია და ივანიშვილი ჩართულია ამ საქმეში. კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ თავისუფალი დემოკრატები ვართ ერთიანი შეკრული გუნდი და არ ვტოვებთ ერთმანეთს. თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების დაკავების შემდეგ მე შემეძლო შემენარჩუნებინა თანამდებობა და დავლოდებოდი გამოძიებას, მაგრამ დამეკარგა სახე და ღირსება.

ჩვენ, თავისუფალი დემოკრატები, ბიძინა ივანიშვილისგან განსხვავებით, არასდროს ვკარგავთ ღირსებას და სახეს. მე მინდა პირდაპირ ვუთხრა ბიძინა ივანიშვილს, რომ ის არის წარსული, მე აღარ ვაპირებ კომენტარის გაკეთებას მის განცხადებებზე, მაგრამ ვპირდები, რომ 5 უდანაშაულო კაცის ციხეში ჩასმას არ ვაპატიებთ, – ასეთია ალასანიას პასუხი.

* * *

რესპუბლიკელების და თავისუფალი დემოკრატებისგან განსხვავებით, აშკარად გაუმართლა პატრიოტთა ალიანსს. მართალია ივანიშვილმა ვერც მათი პროგრამა გაიგო და ვერც პლატფორმა ჩააანალიზა, მაგრამ მაინც დადებითად არის განწყობილი.

– მართალი გითხრათ, მაგათი პლატფორმა გამოკვეთით ვერ გავიგე, რა უნდათ. მე კიდევ მივადევნებ თვალყურს და ალბათ მოგვიანებით უფრო გავაკეთებ ღრმა დახასიათებას. ტრადიციები და ქართული კულტურა ყველას გვიყვარს და ყველას მოგვწონს, თუმცა გადაჭარბებული და უტრირებული არაფერი ვარგა. ჩამოაყალიბონ უფრო მკვეთრად საკუთარი პლატფორმა: რა სურთ მათ.

პატრიოტთა ალიანსი ერთადერთი პარტიაა, რომელიც ნაციონალური მოძრაობის სწორად წარმოჩენას ცდილობს, – განაცხადა ივანიშვილმა.

* * *

საკუთარი პარტიის ქებისას ივანიშვილმა საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიაც გააკრიტიკა.

– შეიძლება, ძალიან გულანთებული იყო და მე ძალიან დიდ პატივს ვცემ ზვიად გამსახურდიას, მაგრამ მართვას უნდა ცოდნა. ასე არ არის, რომ მარტო გიყვარდეს და გული გეწვოდეს. ამავდროულად გამოცდილება და შესატყვისი მანერები უნდა გქონდეს და გუნდი უნდა იყოს დაკომპლექტებული ისეთი ხალხით, ვისაც ხელეწიფება, სწორად მართოს ქვეყანა.

როგორც იქნა, ჩვენ ეს მოვახერხეთ. 25 წლის განმავლობაში „ქართულმა ოცნებამ“ მოახერხა ეს. როგორც არ უნდა ჩამომართვათ ჩემი როლი. რეალურად თუ გავაანალიზებთ, ერთადერთმა პარტიამ აჩვენა, რომ შეუძლია ხალხს ემსახუროს, სამშობლო უყვარდეს, სახელმწიფოს მართვა იცოდეს და სწორი მიმართულებით წაიყვანოს, განავითაროს. ეს არის ის საოცრება, რაც რეგიონში ხდება, საოცრად დაბალანსებულია, – განაცხადა ივანიშვილმა.

მის განცხადებას პირველი პრეზიდენტის ვაჟი ცოტნე გამსახურდია გამოეხმაურა.

– მეც დიდ პატივს გცემ, ძვირფასო ბიძინა, მაგრამ შენი მანერების პატრონი რომ ზვიად გამსახურდიაზე არ უნდა ლაპარაკობდე, ამას დიდი „ჩაანალიზება“ სჭირდება ალბათ.

ჰო, მართვა არ იცოდა, როცა შუაგულ ჯოჯოხეთში სახელმწიფო შექმნა, ურთიერთობა დაალაგა აფხაზებთან და რუსეთს სამაჩაბლო საქართველოს ნაწილად აღიარებინა, ამას სიყვარულის გარდა ცოდნა არ სჭირდებოდა... შენ მაშინ კომპიუტერებით ვაჭრობდი. ცუდი პოლიტიკოსი იყო ზვიად გამსახურდია, რომ სინდისგაყიდულ, პრივილეგიებზე დახარბებულ წითელ ინწილიგენციასთან და ბანდიტებთან საერთო ენა არ მონახა!

და ბოლოს: კალაძის, ჯაჭვლიანის, ნარმანიას და სხვების პატრონი გუნდზე არ უნდა ლაპარაკობდე. ესეც ჩემგან უფასო რჩევა შენ...

P.S. ოცნებავ, არჩევნებამდე მაინც გააჩუმეთ ეს კაცი, – წერს „ფეისბუქზე“ ცოტნე გამსახურდია.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ექსპერტთა აზრით, საუკეთესო სლოგანი ცესკოს ეკუთვნის

## ცესკო – დემოკრატიის სერვისი! ექსპერტთა შეფასებით საუკეთესო სლოგანია




თვეზე ოდნავ მეტი დარჩა იმ არჩევნებამდე, რომელსაც პრაქტიკულად ყველას შეფასებით, საქართველოს უახლოეს მომავალზე გადამწყვეტი გავლენა ექნება. შესაბამისად, დუღილის ტემპერატურა ნელ-ნელა იმატებს და პიკს სექტემბრის ბოლოსთვის მიაღწევს. ასეთ დროს კი ძალიან საინტერესოა, რას ფიქრობენ ამ სფეროს ექსპერტები, როგორ აფასებენ არსებულ სიტუაციას, რა შენიშვნები თუ რეკომენდაციები აქვთ პოლიტიკურ პარტიებთან.

ზოგადად, ექსპერტებს თუ ვენდობით, წინასაარჩევნოდ ერთ-ერთი დიდი (თუ ყველაზე დიდი არა) მნიშვნელობა პარტიის სლოგანს აქვს. პრაქტიკულად ყველა თანხმდება, რომ სლოგანი დასამახსოვრებელი და ეფექტური უნდა იყოს, მაქსიმუმ სამი სიტყვისგან თუ შედგება, ხომ საერთოდ, მისწრებაა, თუმცა ჩვენს სინამდვილეში ერთსიტყვიანი სლოგანებიც გვაქვს და რთული წინადადებებიც.

ისე, საქართველოში ყველაზე ცნობილ და დასამახსოვრებელ რეკლამად ავეჯის გადაზიდვის სერვისის რეკლამა მიიჩნევა, რომლის დროსაც ერთ-ერთი ქალბატონი მონოტონური ხმით იმეორებდა – „ავეჯის გადაზიდვის სერვისი, 25-60-60...“

საარჩევნო სლოგანებზე საკუთარ მოსაზრებას ამ სფეროს ექსპერტები, ვალერიან (ვაკა) გორგილაძე, სოლომონ გალუმაშვილი, კახა მაღრაძე, ვიზუალური ტექნოლოგი მიხეილ ქოჩაკიძე, ლატვიელი პოლიტიკური ტექნოლოგი რეინის კონჩელოვსკისი და ლელა იაკობაშვილი გამოთქვამენ. გვერწმუნეთ, მათი ხედვა და შეფასებები ძალიან საინტერესოა, თუმცა...

დღევანდელ რეალობაში არსებული სლოგანები ერთმანეთს პრაქტიკულად არ ჰგავს. უფრო მეტიც, სლოგანი რეალურად პარტიის სახეს ასახავს და ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ეს გასაკვირი არც არის. მაგალითისთვის ნაციონალური მოძრაობის სლოგანი ავიღოთ – „ახალი ენერგიით საქართველოს წინსვლისთვის“.

აღნიშნული სლოგანი ერთგვარი მობოდიშების ფორმაა, ანუ ყოფილი მმართველი გუნდი აფიქსირებს, რომ ახალი სახეები ჰყავს, ძველები მოიშორა ან კარგად დამალა და მოსახლეობას სთხოვს, კიდევ ერთხელ ენდოს.

„ახალი ენერგიით საქართველოს წინსვლისთვის“ – ეს არის ახალი მობოდიშება, ანუ ამ სლოგანით ნაციონალები გვეუბნებიან – ჩვენ მოვახდინეთ განახლება, გავთავისუფლდით ნუგზარ წიკლაურისგან, გივი თარგამაძისგან და ახლა ახალი ენერგიით მიგვიღეთო... აი ეს არის ბოდიშის მოხდა. ამ სლოგანში კარგად ჩანს ნაციონალურ მოძრაობას თუ რა კომპლექსი აწუხებს“ – ამბობს ექსპერტი ვაკა გორგილაძე.

„ჯეპრას“ კონსულტანტი კახა მაღრაძე რესპუბლიკელების სლოგანის ანალიზს ახდენს. „ალბათ ამ სლოგანს დამატებითი ახსნა სჭირდება, რომ უფრო გასაგები გახდეს. თუმცა გათავისუფლებაში ალბათ რესპუბლიკელები ყველაფერი ცუდისა და უარყოფითისგან გათავისუფლებას გულისხმობენ. რაღაცნაირად ბორჯომის სლოგანსაც მახსენებს „გათავისუფლდი ზედმეტისგან“ – ეს კიდევ ერთი ექსპერტის, კახა მაღრაძის შეფასებაა.

ბატონი კახა ნაციონალური მოძრაობის სლოგანსაც საინტერესოდ აფასებს: „ეს სლოგანი მობოდიშებას უფრო ჰგავს, მაგრამ მეტი მობოდიშება რომ იყოს და განახლებაზე რომ მეტი აქცენტი გაკეთდეს, ალბათ უკეთესი იქნებოდა...“

სხვათა შორის, ექსპერტები თანხმდებიან, რომ ერთ-ერთი გამორჩეული სლოგანი ცესკო-ს აქვს. უფრო სწორედ, ცესკო-ს ორი სლოგანი აქვს და ორივე გამორჩეული.

„ცესკოს ახალი შემადგენლობის საქმიანობა ზუსტად შეესაბამება ამ სლოგანებს. პირველი მათგანი – „ცესკო – დემოკრატიის სერვისი!“ შეიძლება ცოტა ხმამაღალია, რადგან მხოლოდ არჩევნები არაა დემოკრატიის სერვისი, მაგრამ მეორე სლოგანი – „ცესკო თქვენი არჩევანის უზრუნველყოფა!“ ძალიან კარგად აღწერს იმ პროცესებს, რომლითაც ცესკო არის დაკავებული“ – ამბობს ექსპერტი სოსო გალუმაშვილი.

მართლაც, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, ცესკო ამომრჩევლებში ნდობას აშკარად იწვევს და სწორედ ამიტომ, ამ ნდობის გამყარებაა ის სლოგანები, რომელიც ამ საარჩევნო კამპანიისთვის შეირჩა.

„ცესკო – დემოკრატიის სერვისი!“ და „ცესკო თქვენი არჩევანის უზრუნველყოფა!“ – ორივე სლოგანი შესანიშნავია, რადგან ზუსტად ასახავს ცესკოს ხედვასა და მის მთავარ მისიას, მოახდინოს არჩევანის უზრუნველყოფა და ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ ამომრჩეველმა კომფორტულ და მშვიდ გარემოში მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში და თავისი სამოქალაქო ვალი განახორციელოს“ – ამბობს ვაკა გორგილაძე.

„ცესკო – დემოკრატიის სერვისი!“ – ეს სლოგანი ცესკოს რეალურ მისიას უფრო მეტად შეესაბამება. ხოლო რამდენად მოახერხებს ცესკო ამ მისიის შესრულებას, ამას არჩევნების შემდეგ ვნახავთ. თუმცა ძალიან მნიშვნელოვანი და მისასალმებელია ის, რომ ახლანდელ ცესკოს, წინა ცესკოებთან განსხვავებით, საზოგადოებასთან ურთიერთობის „აგრესიული“ პოლიტიკა ჰქონდა“ – ასეთია ექსპერტ ლელა იაკობაშვილის აზრი.

რეინის კონჩელოვსკის მიაჩნია, რომ „ცესკო – დემოკრატიის სერვისი!“ თავისი ჟღერადობით და ფორმით საუკეთესო ევროპულ სტანდარტებს აკმაყოფილებს. „ხშირად მიწევს ევროპულ ქვეყნებში მუშაობა და გარწმუნებთ, რომ „ცესკო– დემოკრატიის სერვისი!“ ერთ-ერთი საუკეთესო სლოგანია, რომელიც როდესმე მინახავს ან გამიგია. მიმაჩნია, რომ ინგლისური ენის მეშვეობით ყველაზე მარტივად და ლაღად ხდება ნებისმიერი შინაარსის მქონე ენობრივი ფორმულის კონსტრუირება, თუმცა ამ სლოგანმა, ჩემი აზრით, თავისი სიმარტივით, ლაკონიურობითა და შინაარსობრივი დატვირთვით საუკეთესო ევროპული ნიმუშები დაჯაბნა“.

ამ მოსაზრებას ასევე ეთანხმება მიხო ქოჩაკიძე. „ჩემი აზრით, ცესკოს ეს სლოგანი ყველაზე ცხადად გადმოსცემს ცესკოს ამოცანებს და მისიას, ამასთან ერთად, ეს სლოგანი ადვილად დამახსოვრებადია და... ცოცხალი, მასში აშკარად ჟღერს ენერგეტიკა“.

ქალბატონი ლელა რესპუბლიკელების სლოგანს „განთავისუფლდეთ“ საინტერესოდ აფასებს: – შეიძლება გათავისუფლდე საკუთარი კომპლექსებისგან, მარწუხებისგან და ა.შ. თუ არ იქნება დაკონკრეტებული რა მიმართულებით აპირებს რესპუბლიკური პარტია „გაათავისუფლოს“, მაშინ ეს სლოგანი, ცოტა არ იყოს, გაუგებარია. თანაც ამ სლოგანში, ვფიქრობ, გაჟღერებულია არა ოპერატიული, არამედ გრძელვადიანი მისია“.

ექსპერტებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ნინო ბურჯანაძის პარტიის სლოგანმა. „უბლოკო სტატუსი საქართველოს გამთლიანებისა და ეკონომიკური გაძლიერებისთვის“ ცოტა გრძლად, მაგრამ აშკარად საინტერესოდ ჟღერს. პრაქტიკულად პირველად ხდება, რომ პოლიტიკური პარტია ოფიციალურად აფიქსირებს იმას, რომ მისი მთავარი მიზანი არსად გაერთიანება არ არის. ისე, ერთხელ ზვიად გამსახურდიამაც თქვა, საქართველო არც ერთი კავშირის წევრი არ უნდა იყოს, საბჭოთა კავშირიდან დაწყებულიო. ქალბატონი ნინოც სწორედ ამ მიმართულებით აკეთებს აქცენტს და იმედი აქვს, რომ უბლოკო სტატუსის მომხრე საქართველოში ბევრია.

„ჩემთვის ეს სლოგანი თავიდან ბოლომდე გაუგებარია. სლოგანი ხომ გამჭვირვალე უნდა იყოს, მისი სიტყვათა წყობა რაღაცას უნდა ესადაგებოდეს... ადამიანს უწევს ჩაატაროს ძალიან დიდი გონებრივი სამუშაო, რომ ჯერ მიხვდეს, უბლოკო რა არის, მერე სლოგანის პირველი ნაწილი მეორე ნაწილს დააკავშიროს“ – ასეთია ლელა იაკობაშვილის აზრი.

„პირდაპირ ვიტყვი, რომ ამ სლოგანის პირველი ნაწილი არ არის შიდა აუდიტორიაზე გათვლილი, რადგან არის ძალიან რთული, აღსაქმელად გაუგებარი და ამავდროულად არანაირ პოზიტიურ შინაარსს არ ატარებს. მეორე ნაწილი გარკვეული განმარტებაა პირველი ბუნდოვანი ნაწილის და აქ, მე მგონი, ბევრი საუბარი არ სჭირდება. რას ეხება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, საერთო ჯამში, სლოგანი და მისი პირველი ნაწილი განსაკუთრებით, არ არის შიდა აუდიტორიაზე გათვლილი და სადღაც გარეთ ეძებს ადრესატებს“ – ასე ახასიათებს სოსო გალუმაშვილი ბურჯანაძის პარტიის სლოგანს.

და რაღა თქმა უნდა, ყველაზე საინტერესო ექსპერტთა აზრი მმართველი გუნდის სლოგანზე „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ იყო.

**ვაკა გორგილაძე:** „ქართული ოცნების სლოგანის ეს ტრიადა პარტიის პრიორიტეტებზე მიანიშნებს. თავისუფლება – არის ის, რაც უკვე მოხდა, ანუ მოხდა ხალხის გათავისუფლება, ლიბერალიზაცია და თუ რესპუბლიკელებისთვის ეს არის სამომავლო გეგმა, „ქართული ოცნებისთვის“ უკვე გავლილი ეტაპია. სწრაფი განვითარების მეშვეობით კი „ოცნება“ ცდილობს კეთილდღეობის მიღწევას. მოკლედ, საერთო ჯამში, სლოგანი საკმაოდ ლოგიკური, შინაარსიანი და დამახოვრებადია“.

**სოლომონ გალუმაშვილი:** „ჩემი ნება რომ ყოფილიყო, სლოგანში სწრაფ განვითარებას შევამცირებდი და დავტოვებდი განვითარებას, მაგრამ რატომღაც „ქართული ოცნების“ მესვეურებმა ჩათვალეს, რომ მათი მმართველობის შემდეგი ოთხწლიანი ციკლის პერიოდში აქცენტი გაეკეთებინათ მხოლოდ განვითარებაზე კი არა სწრაფ განვითარებაზე. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში სიტყვა სწრაფი მხოლოდ მეტაფორული გაძლიერებისთვის არის გამოყენებული. თავისუფლებაში აქ იგულისხმება არა მხოლოდ პიროვნული თავისუფლება, ან მხოლოდ ქვეყნის დამოუკიდებლობა, არამედ იგულისხმება ბიზნესის თავისუფლება, სხვადასხვა სფეროების თავისუფლება და ა.შ. ეს არის გარკვეულწილად სარკული ვარიანტი, ძირითადი მოწინააღმდეგის მოქმედებაზე, სადაც ეს პრიორიტეტი არ არსებობდა. და ბოლოს, კეთილდღეობა – ეს არის რაღაც ახალი მიმართულება ქართული ოცნების კონცეფციაში. მე ვფიქრობ, რომ „ქართული ოცნება“ შეეცდება ამომრჩეველს, ქვეყნის მოსახლეობას თავი სწორედ კეთილდღეობისკენ გადადგმული სერიოზული ნაბიჯებით დაამახსოვროს.

დღემდე სიტყვა კეთილდღეობა მხოლოდ შევარდნაძეს ჰქონდა გამოყენებული, 1999 წელს – „სტაბილურობიდან კეთილდღეობამდე“, თუმცა იქ ეს დაპირება ვერ შესრულდა და შევარდნაძის ეპოქა დარჩა, როგორც, გარკვეულწილად, სტაბილურობის ეპოქა ისტორიაში. ასეთივე ეპოქის შექმნას ფიქრობს „ქართული ოცნებაც“, რომელიც იქნება კეთილდღეობის სახელით შესული ისტორიაში.“

**ლელა იაკობაშვილი:** „თავისუფლება, სწრაფი განვითარება და კეთილდღეობა“ – შედარებით გასაგები სლოგანია, თუმცა ეს სლოგანი რაღაცნაირად იმეორებს მოქალაქეთა კავშირის მაქსიმალურად მშვიდობიან სლოგანებს. ვფიქრობ, უკვე ხელისუფლებაში მყოფი პარტიისათვის, უფრო მეტი კონკრეტიკა გაცილებით მომგებიანი იქნებოდა.“

**კახა მაღრაძე:** „ამ სლოგანის პირველი ნაწილით ალბათ იმის თქმა უნდათ, რომ თავისუფლება მოგვიტანეს და ახლა ამ თავისუფლების შენარჩუნებას გვპირდებიან. ყოველ შემთხვევაში, მე ასე გავშიფრე... და ახლა სწრაფი განვითარების და კეთილდღეობის დრო მოდის. ადრე მოქალაქეთა კავშირს ჰქონდა სლოგანი – „სტაბილურობიდან კეთილდღეობამდე. „ქართული ოცნების“ სლოგანი რაღაცით ამ სლოგანს მაგონებს“.

საბოლოოდ, ექსპერტები შეთანხმდნენ იმაზე, რომ პირველი ადგილი ცესკოს სლოგანს „ცესკო – დემოკრატიის სერვისი!“ ეკუთვნის, მეორე ადგილზე „ქართული ოცნებაა“, გაგიკვირდებათ და, მესამე ადგილი ნონო ბურჯანაძის პარტიას ერგო, შემდეგ ირაკლი ალასანია მოდის, შემდეგ პაატა ბურჭულაძის ბლოკი, ლეიბორისტები და... ბოლოსწინა ადგილზე ნაციონალური მოძრაობის სლოგანი.

## გია ვოლსკი: „ნაციონალები გეგმავენ, როგორ შეიჭრან ღონისძიებებზე, შეხვედრებზე და მოახდინონ პროვოკაცია“




– საკმაოდ ინტენსიური საუბრები მიდის, თუ როგორ შეიჭრან ღონისძიებებზე, შეხვედრებზე და მოახდინონ პროვოკაცია.

ასე გამოეხმაურა ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე გია ვოლსკი პარტიის წევრის თამარ ჩუგოშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას იმის შესახებ, რომ ნაციონალური მოძრაობა წინასაარჩევნოდ შესაძლოა, გარკვეულ არეულობას გეგმავდეს.

– სიტყვა „შესაძლოა“, შეიძლება უადგილოც იყოს, ვინაიდან სხვადასხვა, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი წყაროები ამაზე მიანიშნებს.

საქართველოში არაფერი არ იმალება, საკმაოდ ინტენსიური საუბრები მიდის, თუ როგორ შეიჭრან ღონისძიებებზე, შეხვედრებზე, როგორ მოახდინონ პროვოკაცია.

მე პირადად მქონდა ასეთი საფრთხე, თუმცა ამის პრევენცია მოხდა, ძალიან ბევრი ხალხი იყო შეხვედრაზე და ეს ვერ განხორციელდა. ბევრი ასეთი შემთხვევაა, რომელიც მიანიშნებს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღების მისაქცევად დიდი შანსია, რომ ეს მოხდეს, – განაცხადა ვოლსკიმ.

„ქართული ოცნების“ ინფორმაციით, ნაციონალური მოძრაობა წინასაარჩევნოდ დაპირისპირებების პროვოცირებას და არეულობის შექმნას გეგმავს.

ნაციონალური მოძრაობა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად აგებს მომავალ საპარლამენტო არჩევნებს და რომელსაც არ გააჩნია საზოგადოების მხარდაჭერა, ერთადერთ შანსს ხედავს გარკვეული ტიპის არეულობის შექმნაში.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, დაგეგმილია სხვადასხვა ტიპის დაპირისპირების პროვოცირება ჩვენ მიერ დაგეგმილ ღონისძიებებზე ან ჩვენს მხარდამჭერ ღონისძიებებზე, ასევე, ორგანიზებული ფორმით დაძაბულობისა და დაპირისპირების შემოტანა წინასაარჩევნო კამპანიაში, – განაცხადა თამარ ჩუგოშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

## თამარ ჩუგოშვილი: „ნაცმოძრაობა დაპირისპირებების პროვოცირებას გეგმავს“



„ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, თამარ ჩუგოშვილის განცხადებით, ნაციონალური მოძრაობა „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო შეხვედრებზე პროვოკაციებსა და არეულობას გეგმავს.

მისივე თქმით, არა მხოლოდ მმართველ პარტიას, არამედ სხვა პოლიტიკურ ძალებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა იმაზე, რომ საპარლამენტო არჩევნებმა მშვიდ ვითარებაში ჩაიაროს.

– ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად აგებს მომავალ საპარლამენტო არჩევნებს, თავის ერთადერთ შანსს ხედავს გარკვეული ტიპის არეულობის შექმნაში. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, დაგეგმილია სხვადასხვა ტიპის დაპირისპირებების პროვოცირება ჩვენ მიერ დაგეგმილ ღონისძიებებზე. მნიშვნელოვანია, რომ მომავალმა საპარლამენტო არჩევნებმა ჩაიაროს მაქსიმალურად მშვიდ ვითარებაში და ამაზე პასუხისმგებლობა ეკისრება არა მხოლოდ მმართველ პოლიტიკურ ძალას, არამედ ასევე სხვა პოლიტიკურ ძალებსაც.

ჩვენ მივმართავთ თხოვნით სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, რომ მაქსიმალური ყურადღება გაამახვილონ სწორედ ისეთ ფაქტებზე, რომელმაც შესაძლებელია არჩევნების მშვიდობიანად ჩატარებას ხელი შეუშალოს, – განაცხადა თამარ ჩუგოშვილმა.

**ნიუსპრესი**

# შოთა მალაშხია: „ხალხს ტყუილი დაპირებები ყელში ამოუვიდა“

## „ამ არჩევნების შემდეგ შეიძლება მთელი პოლიტიკური სპექტრი გამოიცვალოს“

მარიამ მჭედლიშვილი

პრეზიდენტის მრჩეველი ფიქრია ჩიხრაძე აცხადებს, რომ ამომრჩეველს მოსწყინდა რადიკალურ დაპირისპირებაში ჩაკეტილი შეზღუდული არჩევანი. ასეთ პოზიციას ეთანხმება პარლამენტის წევრი, ქრისტიან-კონსერვატორების ლიდერი შოთა მალაშხია. „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იგი საუბრობს იმაზეც, კიდევ რა არ მოსწონს ამომრჩეველს

**შოთა მალაშხია:**

– არაერთხელ მითქვამს, რომ ამომრჩეველი კრიტიკულადაა განწყობილი იმის მიმართ, რაც ხდება. მოქალაქეებისათვის განსაკუთრებით გამაღიზიანებელია დაპირებები, რომლებიც არასდროს სრულდება. ასეთი ტყუილი დაპირებები „ქართულ ოცნებასაც“ ბევრი ჰქონდა. ყველაზე ცუდი ისაა, რომ ცრუ შეპირებებს ბოლო არ უჩანს. პოლიტიკური სუბიექტები განსაკუთრებულ აქცენტს პენსიონერებზე აკეთებენ და მათ პენსიების ზრდას ჰპირდებიან. პენსიონერები ორგანიზებული, სტაბილური ფენაა და პოლიტიკური პარტიები ამ არჩევნებისათვისაც მათი გულის მოგებას ცდილობენ. ბევრი პენსიის გაზრდის პირობას დებს, ზოგი ხალხს რუსულ პენსიასაც ჰპირდება.

***– ვერ ხერხდება პენსიონერების გულის მოგება?***

– პოლიტიკოსები ამ სლოგანებით ამას ველარ ახერხებენ. რატომღაც ამ პოლიტიკურ ლიდერებს ჰგონიათ, რომ პენსიონერების მოტყუება იოლია. მათ ისეთი წარმოდგენა აქვთ, რომ პენსიონერები უთავმოყვარეო ადამიანები არიან, რომლებსაც არ ანაღვლებთ ქვეყნის ბედი, ტერიტორიული მთლიანობა, შვილებისა და შვილიშვილების განათლება. ვფიქრობ, რომ ჩვენი ამომრჩეველი აუცილებლად გახდება უფრო რეალისტი. მანამდე იქნება კომპრომატების ომი. არჩევნების შემდეგ კი პოლიტიკური სპექტრი შეიძლება საერთოდ გამოიცვალოს.



***– მოასწრებს ამომრჩეველი, გახდეს რეალისტი არჩევნებამდე დარჩენილ დროში?***

– სრულფასოვან რეალისტად ამომრჩეველი მომავალი არჩევნებისათვის ჩამოყალიბდება. ახლა მას მოუწევს იმ დიდი კრიმინალური გარჩევის ყურება, რაც წინასაარჩევნოდ მიმდინარეობს. ხალხი უკვე კრიტიკულად უყურებს პარტიების არარეალისტურ განცხადებებს, რაც კარგია.

***– ვინ დააკომპლექტებს მომავალ პარლამენტს?***

– პარლამენტს დააკომპლექტებს ის, ვინც უმრავლესობით მოვა პარლამენტში. ეს მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტურის შემდეგ გამოჩნდება.

***– მომავალ პარლამენტში რამდენიმე ძალას აქვს მოხვედრის შანსი?***

– შეიძლება ბარიერი კიდევ სამმა ან მეტმა ძალამ გადალახოს. თითო პარტიის 6 ან მეტი წარმომადგენელი პარლამენტში სიტუაციას ვერ შეცვლის. ეს მცირერიცხოვანი დეპუტაცია გადაწყვეტილებებზე ვერ იმოქმედებს.

***– არასამთავრობოებმა შექმნეს კოალიცია, რომელიც პრორუსული პროპაგანდის წინააღმდეგ იმუშავებს და რეგიონებში მოსახლეობის ინფორმირებას მოახდენს.***

– პრორუსული პროპაგანდა ნამდვილად არსებობს. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის „ქართულ ოცნებას“. ამ ბოლო დროს ისევ წამოიწია ომის თემამ. მმართველი პარტიის წარმომადგენლებს ადრეც განუცხადებიათ, რომ 2008 წლის ომი საქართველომ დაიწყო. ჩვენ, ქრისტიან-კონსერვატორებს დოკუმენტური ფილმების ციკლი გვაქვს გადაღებული საქართველოს ინტერესების მსოფლიოში გაპიარებისა და რუსეთის იდეოლოგიის გავრცელების საწინააღმდეგოდ. წესით, ამაზე ქვეყნის ხელისუფლება უნდა ზრუნავდეს. „ქართული ოცნებისგან“ ამას არც ველი. არ ვიცი, შედეგის მომტანი იქნება თუ არა სამთავრობო სექტორის აქტიურობა. უბედურება ისაა, რომ პატრიოტიზმზე, ტერიტორიულ მთლიანობაზე არც ერთი პარტია არ საუბრობს.

***– ყველა სოციალური დაპირებებითაა დაკავებული?***

– ეს ასეა. ეკონომიკური ზრდა თუ 10%-ს მიაღწევს, მაშინ ჩვენ ლიტვას დავეწევით 12 წელიწადში, დანიას – 35 წელიწადში. 2 ან 3 წელიწადში რომ სამოთხეს გვპირდებიან, ისინი იტყუებიან. ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ეკონომიკის განვითარების საფუძველიცაა. ეს მოიტანს, ჯერ ერთი, დევნილების დაბრუნებას, მეორეც, ინვესტიციებს ამ რეგიონებში. თუ აჭარაში აბანდებენ ფულს, რატომ არ დააბანდებენ აფხაზეთში? ქვეყნის გამთლიანებაში დიდი როლის შესრულება შეუძლია ერთიან ფრონტს საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას შემადგენლობით. ჩვენ ერთად უნდა ვიბრძოლოთ რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო სასამართლოებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში. ეს პრობლემები აუცილებლად გახდება აქტუალური. პოლიტიკური სპექტრი კი, რომელიც ცრუ სლოგანებით იკაფავს გზას, მალე შეიცვლება. ამგვარი რამ რეალურია. ეს განხორციელდა კანადაში, სადაც მთელი პოლიტიკური სპექტრი შეიცვალა. ხალხს ტყუილი დაპირებები ყელში ამოუვიდა.

# გიორგი კვირიკაშვილი სერჟ სარგსიანს შეხვდა

სომხეთში ოფიციალური ვიზიტით მყოფი საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, სერჟ სარგსიანს შეხვდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურიდან აცნობეს, საუბრის დასაწყისში სომხეთის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტის მნიშვნელობას.

გიორგი კვირიკაშვილმა და სერჟ სარგსიანმა საქართველო-სომხეთს შორის არსებულ მრავალსაუკუნოვან ურთიერთობებზეც ისაუბრეს და გამოხატეს მზაობა, ხელი შეუწყონ სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას.



პირისპირ შეხვედრაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და სომხეთის პრეზიდენტმა სავაჭრო-ეკონომიკურ, სატრანსპორტო და ჰუმანიტარულ-კულტურულ სფეროებში თანამშრომლობის საკითხებზე ისაუბრეს.

როგორც მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, გამოითქვა იმედი, რომ საქართველოსა და სომხეთს შორის არსებული ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების პოტენციალი სრულად იქნება გამოყენებული.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა ურთიერთთანამშრომლობას ისეთ სფეროებში, როგორიცაა კომუნიკაციები, ტურიზმი და სოფლის მეურნეობა.

გიორგი კვირიკაშვილმა და სერჟ სარგსიანმა რეგიონალური უსაფრთხოების მნიშვნელობაზეც ისაუბრეს და განაცხადეს, რომ ეკონომიკური პროექტების სწრაფად და შეუფერხებლად მიმდინარეობისთვის რეგიონალურ უსაფრთხოებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

პირისპირ გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს სამუშაო სადილზე უმასპინძლა.

**ინტერპრესნიუსი**

# ზუგდიდში სანდრა რულოვსს შეურაცხყოფა მიაყენეს



ნაციონალური მოძრაობის ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, სანდრა რულოვსის მოსახლეობასთან შეხვედრაზე ინციდენტი მოხდა.

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი ადგილიდან იუწყება, სოფელ ჯიხაშკარში სანდრა რულოვსი მხარდამჭერებს ხვდებოდა, რა დროსაც შეკრებილებს ახალგაზრდების ჯგუფი მიუახლოვდა და სანდრა რულოვსს სიტყვიერი შეძახილებით „ორგანოებით მოვაჭრე“ მიმართეს.

ინციდენტი სანდრა რულოვსის მხარდამჭერებსა და ახალგაზრდების ჯგუფს შორის სიტყვიერ დაპირისპირებაში გადაიზარდა, თუმცა ნაციონალური მოძრაობის წევრების დაჟინებული მოთხოვნით, ახალგაზრდებმა ტერიტორია მალევე დატოვეს.

ნაციონალური მოძრაობის ლიდერები მომხდარს ხელისუფლებას უკავშირებენ.

– ეს მოხდა ხელისუფლების დაკვეთით, ამიტომ ეს ხელისუფლება ოქტომბერში დასრულდება, – განაცხადეს მათ.

**ინტერპრესნიუსი**

# ლევან ბერძენიშვილი: რესპუბლიკურ პარტიაზე ივანიშვილის შეფასება არასწორია



რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, ლევან ბერძენიშვილის შეფასებით, ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილის შეფასება, რომ რესპუბლიკური პარტიის რეიტინგი მხოლოდ 1%-ია, „ღრმად არასწორია“.

– ეს შეფასება არასწორია ღრმად. მეტი რა უნდა ვთქვა?! როდესაც ასე არასწორია შეფასება, იქ ლაპარაკს აზრი არ აქვს. ასე იმიტომ მიმაჩნია, რომ უკეთ ვიცნობ რესპუბლიკურ პარტიას და პოლიტიკაშიც უფრო დიდი ხანია ვარ, ვიდრე ზოგიერთს წარმოუდგენია. ამ კითხვებს პასუხს არჩევნები გასცემს, – განუცხადა ლევან ბერძენიშვილმა „ინტერპრესნიუსს“.

**ინტერპრესნიუსი**

# ბელგიის შსს-მ საქართველოს უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნის სტატუსი მიანიჭა




საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ბელგიის სამეფოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნის სტატუსი მიანიჭა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სამინისტროდან აცნობეს, აღსანიშნავია, რომ ბელგიამ უსაფრთხო სტატუსის მატარებელი ქვეყნების სიაში საქართველო წელს პირველად შეიყვანა.

როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში განმარტავენ, ბელგია უსაფრთხო წარმოშობის სტატუსს ქვეყანას იქ არსებული სამართლებრივი მდგომარეობის, კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვის, ზოგადი პოლიტიკური გარემოსა და სხვა სახის კრიტერიუმების გათვალისწინებით ანიჭებს.

– უსაფრთხო წარმოშობის სიის გადახედვა ყოველწლიურად ხდება, საქართველოში ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებებით განხორციელებული ეფექტური რეფორმების შედეგად წელს ამ სიას მხოლოდ საქართველო დაემატა.

ბელგიის სამეფო უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნების სტატუსის მქონე ქვეყნების სიას 2012 წლიდან ადგენს და ამ სიით ხელმძღვანელობს თავშესაფრის მაძიებელთათვის სტატუსის მინიჭებისას, – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

მათივე ინფორმაციით, შესაბამისი აქტი ბელგიის საკანონმდებლო ოფიციალურ ჟურნალში 29 აგვისტოს გამოქვეყნდა.

**ინტერპრესნიუსი**

# ბათუმში „გირჩის“ ოფისს კვერცხები ესროლეს

ბათუმში, მემედ აბაშიძის ქუჩაზე მდებარე „გირჩის“ ოფისს კვერცხები ესროლეს. ინცინდენტი, სავარაუდოდ, ღამით მოხდა.



როგორც „ინტერპრესნიუსს“ ახალი პოლიტიკური ცენტრის მაჟორიტარობის კანდიდატმა, ირაკლი ბარამიძემ განუცხადა, ამ ფორმით ოფისზე თავდასხმა მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებს უკავშირდება.

ბარამიძეს ეჭვი აქვს, რომ კვერცხები ოფისს პოლიტიკურმა ოპონენტებმა „ქართული ოცნებიდან“ დაუშინეს.

– ამ დილას დაგვხვდა ასეთი სამარცხვინო სურათი. 10-მდე კვერცხია ნასროლი ოფისის კარზე, ფასადსა და ფანჯრებზე. ამ ამბავს, ბუნებრივია, მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებს ვუკავშირებთ და ეჭვი გვაქვს, რომ სახელისუფლებო შტოს ნამოქმედარია.

როცა ქალაქის ცენტრში პოლიტიკური პარტიის ოფისზე ხდება თავდასხმა, ეჭვი გვიჩნდება მთავრობის მიმართ, იმიტომ, რომ მთავარ ოპონენტად „ქართულ ოცნებას“ განვიხილავთ და ალბათ ისიც ასე ფიქრობს, – აღნიშნა ირაკლი ბარამიძემ.

მისივე თქმით, ოფისს ვიდეოკონტროლი არ აქვს და ჯერჯერობით დაუდგენელია, ვინ ესროლა კვერცხები ოფისს.

**ინტერპრესნიუსი**

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# არეულობა გორში

## საკრებულოს თავმჯდომარე გადააყენეს

შორენა მარსაგიშვილი



ქართლის გულში გორში დიდი ამბები ტრიალებს, უფრო დიდი სეირი კი წინ გველოდება. საკრებულოს თავმჯდომარის მრჩევლის რანგში ირაკლი ოქრუაშვილის დანიშვნა რომ სკანდალით დასრულდებოდა, ამას ყველა გრძნობდა.

სკანდალი გუშინ, 5 სექტემბერს, დატრიალდა, რომელსაც წინ არანაკლებად სკანდალური მოვლენა უძღოდა.

იანვარში გორის საკრებულოს თავკაცს პაპუნა კობერიძეს დეპუტატებმა იმპიჩმენტი მოუწყვეს. კობერიძე ეროვნული ფორუმის წევრია. მის ადგილას კი ქართული პარტიის წევრი ილია მეტრეველი აირჩიეს. მას იმპიჩმენტის ვირუსმა რამდენიმე თვის თავზე მიაკითხა.

მიმდინარე წლის 2 სექტემბერს საკრებულოს 9 დეპუტატმა კანცელარიაში განცხადება შეიტანა. ამ განცხადებით დეპუტატებმა რიგგარეშე სხდომის ჩატარება და დღის წესრიგში თავმჯდომარის იმპიჩმენტის საკითხის შეტანა მოითხოვეს.

განცხადების შეტანის მეორე დღეს, ანუ 3 სექტემბერს საკრებულოს თავმჯდომარემ აპარატის უფროსობიდან გაათავისუფლა ზაზა ნასყიდაშვილი. მის ადგილას კი ქონების მართვის სამმართველოს ყოფილი თანამშრომელი გიორგი ქობლიანიძე დანიშნა. თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთმა ლიდერმა თამარ თედლიაშვილმა ეს ფაქტი იმპიჩმენტის პროცედურების გაჭიანურებას დაუკავშირა.

აპარატის უფროსობიდან გათავისუფლებულმა ნასყიდაშვილმა განაცხადა, რომ მისი გათავისუფლების გადაწყვეტილება საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველმა ირაკლი ოქრუაშვილმა მიიღო.

მან ოქრუაშვილს პოლიტიკური ჯამბაზი უწოდა და ის ცოდვები გაიხსენა, რაც ოქრუაშვილის მინისტრად და პროკურორად ყოფნის პერიოდს უკავშირდებოდა.

ოქრუაშვილმა ყველაფერი „ქართულ ოცნებას“ დააბრალა. ჟურნალისტებთან საუბრისას მან განაცხადა, რომ საკრებულოში მიმდინარე პროცესების უკან კახა კალაძე იდგა.

ნასყიდაშვილის გათავისუფლების მიზეზად მეტრეველმა დაასახელა ის, რომ გათავისუფლებული აპარატის თანამშრომლებს მოუწოდებდა, „ქართული ოცნების“ გორის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის მოსახლეობასთან შეხვედრებს დასწრებოდნენ. ეს კი, მეტრეველის თქმით, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას გულისხმობს და კანონის დარღვევაა.

საკრებულოს წევრები აცხადებდნენ, რომ ნასყიდაშვილი თანამდებობიდან კანონის დარღვევით იქნა გათავისუფლებული. გარდა ამისა, მეტრეველი თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის დავალებებს ასრულებდა.

დიდი დავის და წიოკის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ რიგგარეშე სხდომა დანიშნა. სხდომა დილის 7 საათსა და 30 წუთზე ჩაინიშნა.

დეპუტატების განმარტებით, მეტრეველმა სისხამი დილა საგანგებოდ შეარჩია. რეგლამენტის მიხედვით, 07.30 საათზე მიღებული გადაწყვეტილება არალეგიტიმური იქნებოდა. რაც ილია მეტრეველს სასამართლოში გასაჩივრების საფუძველს მისცემდა.

იმავე რეგლამენტის თანახმად. საკრებულოს სხდომა 10.00 საათზე უნდა დაიწყოს.

– ამ პროვოკაციული განზრახვის მიუხედავად, ჩვენ დავესწრებით საკრებულოს 5 სექტემბრის სხდომას და მივიღებთ გადაწყვეტილებას ქალაქის სასიკეთოდ. არასამუშაო დროს მიღებული გადაწყვეტილება ვერ გახდება მისი იურიდიულად ბათილად ცნობის საბაბი. ირაკლი ოქრუაშვილს ვერ მივცემთ საშუალებას, ხელოვნურად შეუქმნას საკრებულოს დაბრკოლება, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ფრაქცია ,,ქართული ოცნების“ ხელმძღვანელმა ლია ჩლაჩიძემ.

თავმჯდომარის გასაიმპიჩმენტებლად დეპუტატები საკრებულოში სისხამ დილას შეიკრიბნენ. მათ მეტრეველი ხმათა უმრავლესობით გადააყენეს. კენჭისყრაში მონაწილეობა მხოლოდ ნაცმოძრაობის წარმომადგენელს არ მიუღია.

კოლეგების გადაწყვეტილებას მეტრეველი ოლიმპიური სიმშვიდით და ცინიკური გამომეტყველებით შეხვდა. მოგვიანებით კი მედიას იმ მიზეზებზე ესაუბრა, რომლის გამოც თანამდებობიდან გადააყენეს.

საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარის განცხადებით, მისი იმპიჩმენტის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ დეპუტატებს პრემიები არ გამოუწერა.

– მიზეზად ასეთი რაღაცა დაასახელს, რასაც ტელევიზიების წინაშე არ გააჟღერებენ, რომ რატომ პრემიებს არ გვაძლევო, თუ არადა პრობლემები მოუყვებაო. საკრებულოში შემოვედით 2014 წლის 2 აგვისტოს, იქიდან მოყოლებული, „ქართული ოცნება“ სულ გვემტერება. ჩემმა გუნდმა ყველანაირად ხელი გავუმართეთ, მაგრამ ისინი ჩასაფრებულ პოზიციაში იყვნენ და ყოველთვის ღალატის და მტრობის პოზიციაში არიან. დღესაც მივიღეთ ის შედეგი, რაც მივიღეთ, – განაცხადა გადაყენებულმა მეტრეველმა.

ახლის არჩევამდე საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობას დამოუკიდებელი დეპუტატი ზურაბ როსებაშვილი შეასრულებს. როსებაშვილი 5 სექტემბრის დილამდე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე იყო.

საკრებულოს იურისტ-კონსულტანტის ვანო ბალახაშვილის თქმით, საკრებულოს წევრებს თავმჯდომარის ახალი კანდიდატურის წამოყენება 8 სექტემბრამდე შეუძლიათ. ამ შემთხვევაში რიგგარეშე სხდომაზე სამი წევრის მოთხოვნაც საკმარისია.

– ახალი თავმჯდომარის არჩევის პროცედურების წარმოება 8 სექტემბრამდე უნდა მოესწროს. საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით, საკადრო ცვლილებების განხორციელება 8 სექტემბრიდან 8 ოქტომბრამდე დაუშვებელია, რადგან 8 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნებია დანიშნული. თუ უახლოეს სამ დღეში ეს პროცედურები არ დაიწყო, ახალი თავმჯდომარის არჩევის მოთხოვნის დაყენება 8 ოქტომბრამდე არ მოხდება, – ამბობს ვანო ბალახაშვილი.

# მკვლელობა ყიფშიძეზე

გუშინ, 5 სექტემბერს, ყიფშიძის ქუჩაზე მკვლელობა მოხდა. შსს-ს პირველადი ინფორმაციით, შემთხვევა „ყოფით ნიადაგზე დაწყებულ კონფლიქტს“ მოჰყვა, რის შედეგადაც კლიენტმა პროფილაქტიკის თანამშრომელს ესროლა. დაჭრილი რამაზ მჭედლიშვილი გარდაიცვალა.

თვითმხილველის ინფორმაციით, კლიენტმა ცეცხლი მას შემდეგ გახსნა, რაც პროფილაქტიკის თანამშრომელმა მოუცლელობის მიზეზით ავტომანქანის კომპიუტერული დიაგნოსტიკისთვის დალოდება სთხოვა.

– უთხრა, ჯერ არ მცალია, დამელოდე და მერე გაგიკეთებო, რის შემდეგაც, ეს ადამიანი „მერსედე-




სის“ მარკის მანქანით წავიდა და ცოტა ხანში უკან „ბე ემ ვე“-თი დაბრუნდა, ამოიღო ავტომატი და ესროლა. ეს პიროვნება აქამდე არ გვყავს ნანახი, პროფილაქტიკის მუდმივი კლიენტი არ არის, – აღნიშნავენ პროფილაქტიკის თანამშრომლები.

* * *

ქირურგ კობა თაბაგარის განცხადებით, ყიფშიძის ქუჩაზე დაჭრილი რამაზ მჭედლიშვილისთვის ოპერაციის გაკეთება ვერ მოხერხდა, რადგან მისი მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო.

– დაახლოებით 16.30 საათზე ახლობლებმა შემოიყვანეს თავიანთი მანქანით პაციენტი მიმღებში. სასწრაფო დახმარების მანქანით არ შემოუყვანიათ. მისი მდგომარეობა იყო უკიდურესად მძიმე და სასწრაფო წესით გადავიყვანეთ საოპერაციოში. ოპერაციის დაწყება ვერ მოხერხდა, რადგან გული გაუჩერდა. რეანიმაციული ღონისძიებების მიუხედავად, ვერ მოხერხდა სასიცოცხლო ფუნქციების აღდგენა და პაციენტი გარდაიცვალა, – აღნიშნა კობა თაბაგარმა.

მისივე თქმით, გარდაცვლილს ჰქონდა ერთი გამჭოლი ჭრილობა, სავარაუდოდ, მარჯვნიდან მარცხნივ გასული.

ყიფშიძის ქუჩაზე მომხდარ შემთხვევაზე გამოძიება 108-ე პრიმა (განზრახ მკვლელობა) და 236-ე (ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარება) მუხლებით დაიწყო. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს.

**ინტერპრესნიუსი**

# დავით კირვალიძე მინისტრთა კაბინეტში ბრუნდება?

სოფლის მეურნეობის სამინისტროში შესაძლოა დავით კირვალიძე დაბრუნდეს. ინფორმაციას „იმედი“ ავრცელებს. ამ თემაზე კომენტარი ბიძინა ივანიშვილმაც გააკეთა და კირვალიძის მიმართ მისი სიმპათია არ დამალა.

მანვე განაცხადა, რომ კირვალიძის მინისტრთა კაბინეტში დაბრუნებაზე პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან საუბარი უკვე ჰქონდა:

– კირვალიძე ჩემი ფავორიტი მინისტრი იყო. ისიც კარგად ავხსენი დღევანდელ შეხვედრაზე, როგორ არ დავინდე მიუხედავად ფავორიტობისა, როდესაც კითხვის ნიშნები გაჩნდა, რომ შესაძლოა მის სამინისტროში არის სამართალდარღვევა, არავინ არ დავზოგე. ესეთი უნდა იყოს ყველა პარტია და ის გუნდი, ვინც ქვეყანას მართავს. რომ თავის გუნდს კი არ უნდა მიხედოს, ქვეყანაზე უნდა იზრუნოს მთლიანად და არა ის, რომ თავის გუნდი დაიცვას, რისი მაგალითებიც ჩვენ კარგი გვაქვს წინა მმართველობიდან.

მისი ბრალეულობა იქ არ დამტკიცდა და დღესაც ის ჩემთვის ძალიან საპატივსაცემო პიროვნებაა და, სხვათა შორის, მქონდა კვირიკაშვილთან საუბარი, რომ კარგი იქნება თუ ახალ გუნდში კირვალიძეს დააბრუნებ-მეთქი, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა თემის კომენტირებისას.



რაც შეეხება კირვალიძეს, ის ამჟამად საქართველოში არ იმყოფებოდა და ვრცელი კომენტარისგან თავს იკავებს.

კირვალიძე ამბობს, რომ ამ თემაზე საუბარი არ ყოფილა. რაც შეეხება სოფლის მეურნეობის მოქმედ მინისტრს, რომელმაც მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად დასახელების გამო თანამდებობა რამდენიმე დღეში უნდა დატოვოს, აცხადებს, რომ მის შემცვლელს პრემიერ-მინისტრი დაასახელებს.

**პირველი რადიო**

# ირაკლი ოქრუაშვილი რუსთავი 2-ზე პრეტენზიას აცხადებს



ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ადვოკატებმა უზენაეს სასამართლოში დოკუმენტი წარადგინეს, რომელიც 2010 წელს გერმანიაში ქიბარ ხალვაშსა და ირაკლი ოქრუაშვილს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას ეხება.

დოკუმენტის მიხედვით მხარეები ადასტურებენ, რომ ირაკლი ოქრუაშვილმა ქიბარ ხალვაშის სახელითა და მეშვეობით ტელეკომპანია რუსთავი 2-ის 100%-იანი წილი შეიძინა. შესაბამისად, როგორც ხელშეკრულებაშია აღნიშნული, რუსთავი 2-ის მესაკუთრეობასთან დაკავშირებულ ყველა პრეტენზიაზე უფლება ირაკლი ოქრუაშვილს ეკუთვნის.

დოკუმენტის ავთენტურობა ირაკლი ოქრუაშვილმა დაადასტურა და ის ქიბარ ხალვაშის წინააღმდეგ სამართლებრივი დავის დაწყებას გეგმავს.

**ნიუსპრესი**

# ქიბარ ხალვაში: „წარმოდგენილი „დოკუმენტი“ არის ნაციონალური მოძრაობის მორიგი სიყალბე“



ქიბარ ხალვაშის თქმით, რუსთავი 2-ის ეთერით გაჟღერებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც ტელეკომპანია რუსთავი 2-ს ხელთ „ჩაუვარდა“ მასა და ირაკლი ოქრუაშვილს შორის შეთანხმების ამსახველი წერილობითი დოკუმენტი, არის სრული სიყალბე, რაც, უკვე მერამდენედ, მიმართულია მიმდინარე დავის განხილვის გასაჭიანურებლად და ამჯერად უზენაეს სასამართლოზე ზეწოლის განსახორციელებლად.

– ამ ამბავს სოციალური ქსელით გუშინვე მივეცი ლაკონური რეაქცია, სადაც ვამბობ, რომ ყოფილი ნაცი არ არსებობს. ნაციონალი არის ყველა, ვინც, ცხოვრების წესით, ფულისა და ხელისუფლებისთვის ყველაფერს კადრულობს. ამას ვამბობ ირაკლი ოქრუაშვილზე. მის მიერ წარმოდგენილი „დოკუმენტი“ ბუნებაში არ არსებობს, შესაბამისად, არის სრული სიყალბე.

რუსთავი 2-ის „აღმოჩენა“ დროში ზუსტად ემთხვევა ჩემი კუთვნილი ქონების დაბრუნებისთვის მიმდინარე სამართლებრივი პროცესის უზენაეს სასამართლოში განხილვის დაწყებას.

უკვე მერამდენედ, ჩემს მიდგომას, რომ საქმე განხილულ იქნეს ცივილურად, სასამართლოს მეშვეობით, ნაციონალური მოძრაობა (ამ ცნებაში ვაერთიანებ მიხეილ სააკაშვილს, რუსთავი 2-ის დღევანდელ მენეჯმენტს და ირაკლი ოქრუაშვილსაც) უპირისპირებს სიყალბეს, ცდილობს საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებას, მაყურებლის შეცდომაში შეყვანას და ზეწოლას უზენაეს სასამართლოზე. გუშინდელ ტელეეთერებში ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა ლამის წერტილმძიმის სიზუსტით აღწერეს, თუ რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს უზენაესმა სასამართლომ ამ „დოკუმენტის“ უეცრად და მოულოდნელად გამოჩენის შემდეგ.

ვიმეორებ, – ეს ეგრეთ წოდებული დოკუმენტი არის ყალბი და რეალობასთან მას საერთო არაფერი გააჩნია. რუსთავი 2-ის დღევანდელი მენეჯმენტი ცდილობს ფეხი აუწყოს და შეასრულოს ნაციონალური მოძრაობის დავალებები. ამ გზაზე კი მორიგი სიცრუე გახლდათ ის ფაქტიც, რომ მათ განაცხადეს, თითქოს ჩემთან დაკავშირებას ცდილობდნენ და ვერ მოახერხეს... საინტერესოა, რა საშუალებებით ცდილობდნენ, რომ ასეთი მიუწვდომელი აღმოვჩნდი?!..

კეთილი, მე, ვთქვათ, ვერ დამიკავშირდნენ, როგორც განაცხადეს 4 სექტემბერს ეთერში, მაგრამ ვერც ჩემს წარმომადგენელთან მოახერხეს დაკავშირება? ისინი მას მხოლოდ სიუჟეტის გასვლის შემდგომ დაუკავშირდნენ. ეთერში გასული სიუჟეტი კი მათ სტილში მომზადებული ფაბრიკაციაა.

ვაცხადებ მკაფიოდ, – რაც უნდა მოიხარშოს ნაცმოძრაობის ადუღებულ თავში, რუსთავი 2-თან დაკავშირებულ სამართლებრივ დავაში ისინი შედეგამდე ვერ მივლენ. პირველივე დღიდან მოყოლებული, და ეს 2012 წლამდე გაცილებით ადრე დაიწყო, დავას ვაწარმოებ ცივილური, სამართლებრივი გზებით. ამ გზებით მივალ კიდეც საბოლოო გამარჯვებამდე, რაშიც სრულიად დარწმუნებული ვარ, რადგან სიმართლე ერთია და ამ დავაში ის ჩემს მხარესაა, – აცხადებს ქიბარ ხალვაში.

**მედიანიუსი**

# ობამა: „ტრამპმა ამერიკელთა უმრავლესობის მიმხრობა ვერ შეძლო“



აშშ-ს პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა, რომ საagენტო რეიტერის მიერ გავრცელებული ცნობა, თითქოს ტრამპმა რეიტინგით ჰილარი კლინტონს გადაუსწრო, სინამდვილეს არ შეეფერება.

– ჰილარი ლიდერობას ინარჩუნებს, თუმცა მის მიმართ ცილისწამებების მთელი კასკადი წამოვიდა, – თქვა ობამამ და დაამატა, რომ ტრამპმა ამერიკელების უმრავლესობის მიმხრობა ვერ შეძლო.

– ტრამპს მხარს ისინი უჭერენ, ვისაც ცხოვრებაში ხელი მოეცარა. ასეთები ამერიკაში აშკარა უმცირესობას შეადგენენ, – თქვა ობამამ.

# დონბასელი სეპარატისტები პუტინს უკრაინაში ჯარის შეყვანას სთხოვენ



ე.წ. დონეცკის რესპუბლიკის მეთაურმა ზახარჩენკომ განაცხადა, რომ თურქეთის მიერ სირიაში ჯარის შეყვანა კარგ პრეცედენტს ქმნის.

თურქეთმა უცხო ქვეყანაში გაეროს ყოველგვარი სანქციის გარეშე შეიყვანა არმია, რათა თავისი თანამემამულე თურქმანები დაეცვა. ზახარჩენკოს აზრით, პუტინიც თურმე ასე უნდა მოიქცეს და უკრაინაში ჯარი შეიყვანოს.

– თუკი თურქები თავის თვისტომებს იცავენ, რატომ არ შეიძლება იგივე რუსებმაც გააკეთონ? ჩვენ, დონბასელები, რუსეთის არმიას ველით. ასევე ელიან მას ოდესაში, ხარკოვში, ზაპოროჟიეში, – აცხადებს ზახარჩენკო.

# ეუთო დონბასზე ახალ ხელშეკრულებას ამზადებს




გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შტაინმაიერმა განაცხადა, რომ დონბასში მშვიდობამდე შორსაა. მისი აზრით, მინსკის შეთანხმებებს როგორც რუსები, ისე უკრაინელებიც არღვევენ.

– ეუთო სამშვიდობო ხელშეკრულების ახალ ტექსტს ამზადებს, – თქვა შტაინმაიერმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# მერკელის პარტია მესამეა



ეგზიტპოლის მონაცემებით, გერმანიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ჩატარებულ ადგილობრივ არჩევნებში სოციალ-დემოკრატიული პარტია ლიდერობს. მეორე ადგილზე მემარჯვენე ორგანიზაცია „გერმანული ალტერნატივა“ გავიდა. მერკელის ქრისტიან-დემოკრატიული პარტია მესამეზეა.

# დედა ტერეზა წმინდანად შერაცხეს



წმინდა პეტრეს მოედანზე დედა ტერეზას წმინდანად შერაცხვის ცერემონიალი გაიმართა. მას პირადად რომის პაპი გაუძღვა.

ცერემონიალს 100.000 ადამიანი დაესწრო.

ამიერიდან დედა ტერეზა წმინდანადაა გამოცხადებული.

# თურქეთის არმიამ ჯიჰადისტები საზღვრისპირა რეგიონებიდან განდევნა



წარმატებით ვითარდება ოპერაცია „ევფრატის ფარი“, რომელსაც თურქეთის არმია სირიის ტერიტორიაზე ახორციელებს.

თურქეთის პრემიერმა ილდირიმმა განაცხადა, რომ საზღვრისპირა რაიონები ისლამისტი ექსტრემისტებისგან მთლიანადაა გაწმენდილი.

– ამიერიდან ექსტრემისტების გარე სამყაროსთან კონტაქტი შეუძლებელი გახდა, – განაცხადა ილდირიმმა.

## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავისმკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: ალმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

*კალეიდოსკოპი*

# ნაცისტური ტურბაზა ელიტურ კურორტად გადაკეთდა




გერმანიაში ბალტიის ზღვის სანაპიროზე მდებარე მესამე რეიხის დროინდელი მიტოვებული კურორტი ხუთვარსკვლავიან სასტუმროდ და აპარტამენტებად გადაიქცა.

საუბარია სანატორიუმ პრორაზე, რომელიც კუნძულ რიუგენზე მდებარეობს. აღსანიშნავია, რომ ის ოდესღაც ფაშისტების ერთ-ერთი ყველაზე ამბიციური სამშენებლო პროექტი იყო: ნავარაუდევი იყო, რომ პრორა მუშათა კლასის დასვენების ადგილად იქცეოდა და მასში 20 ათასამდე ადამიანი შეძლებდა დასვენებას, მაგრამ სამუშაოები 1939 წელს შეაჩერეს. ომის დასრულების შემდეგ შენობები საბჭოთა არმიის განკარგულებაში იმყოფებოდა და მას ყაზარმებად იყენებდნენ. ორი გერმანიის გაერთიანების შემდეგ კომპლექსი ბუნდესვერის განკარგულებაში გადავიდა, თუმცა შენობებს არ იყენებდნენ და ისინი დანგრევის პირას იყო მისული.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აპარტამენტების 95 პროცენტი უკვე გაყიდულია, ამასთან პენტჰაუზში, საიდანაც ზღვის ხედი იშლება, მყიდველებს 350-დან 650 ათას ევრომდე გადახდა მოუხდათ.

განახლებული კომპლექსის საზეიმო გახსნა მიმდინარე თვეშია დაგეგმილი.

# ჩინელმა ბიზნესმენმა საკუთარი მიზნებისთვის ბოინგი შეიძინა




ჩინელმა ბიზნესმენმა 325 მილიონი დოლარი დახარჯა ავიალაინერ ბოინგ 787 დრეამლინერის პირადი სარგებლობისთვის შესაძენად.

აღსანიშნავია, რომ 100 მილიონი ბიზნესმენმა ავიალაინერის გადაკეთებაზე დახარჯა. ეს სამუშაოები ავიაკომპანია კესტრელ ეირლეინსმა შეასრულა.

თვითმფრინავის სალონში მოეწყო სასტუმრო ოთახი, სამზარეულო, სასადილო, საძინებელი და სამედიცინო კაბინეტი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გალიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**



# მკურნალი ბუნება

## გვირილა დაღლილობას მოგიხსნით

გვირილა – ყვითელგულა მინდვრის მშვენება შედის ძალიან ბევრ სამკურნალო მცენარეთა ნაერთში, რომელიც გამოიყენება ჭვალის, სტომატიტის, გინგივიტისა და პარადონტოზის სამკურნალოდ.

განსაკუთრებით სასარგებლოა სასუნთქი ორგანოების, დიათეზის, დერმატიტის, ეგზემის ქრონიკული დაავადებების დროს და ქალებისთვის კრიტიკულ დღეებში.

გვირილას მიღება შეიძლება კუჭის მაღალი მჟავიანობის დროს.

მისი ნაყენი ამცირებს კუჭ-ნაწლავ-



ში დუღილის პროცესს, მუცლის შებერილობას, ხსნის კუჭის სპაზმებსა და ლორწოვანას გარსის შეშუპებას, აძლიერებს ნაღვლის გამოყოფას, ამშვიდებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას, ხელს უწყობს კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის შეხორცებას.

ხალხურ მედიცინაში იყენებენ გვირილის ჩაის, ნახარშს აბაზანისთვის, კომპრესად და პირში გამოსავლებად, ასევე გრიპის სამკურნალოდ.

თუ შეგაწუხათ ჭვალმა, ნერვიულობა დაგჩემდათ, ცუდად გძინავთ, სწრაფად ღიზიანდებით, მედიცინა გვირჩევს მიიღოთ გვირილის ჩაი ან ნახარში.

გარდა ამისა, გვირილა არის გაახალგაზრდავების ელექსირის ერთ-ერთი კომპონენტი, რომელიც გამოიგონეს უძველეს დროში ცნობილმა ბუდისტმა ბერ-მონაზვნებმა. რეცეპტი ძალიან მარტივია:

შეურიეთ ერთმანეთს 100-100 გ კრაზანა, გვირილა, ნეგო და არყის ხის კვირტები, 1 ჩ/კ ნარევს დაასხით 0,5 ლ მდუღარე წყალი და 3 საათი გააჩერეთ. დალიეთ ძილის წინ თაფლთან ერთად. ელექსირი აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, მხედველობას, სახსრების მოქნილობას, ხელს უშლის წონაში მომატებას, შველის ჰიპერტონიას, ორგანიზმიდან გამოდევნის ტოქსინებს

გთავაზობთ კიდევ რამდენიმე ხალხურ რეცეპტს:

მეტეორიზმის დროს: 6 წილი გვირილის, 4 წილი კატაბალახას ფესვების და 1 წილი კვლიავის 1 ს/კ ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი და 20 წუთი გააჩერეთ. გაწურეთ და სვით 1/2 ჩ/ჭ დილას და საღამოს.

ღრძილების ანთების დროს თითო ჩ/კ შვიტას, ნარგიზულას და გვირილის ნარევს დაასხით 0,5 ლ მდუღარე წყალი, 3 წუთი ადუღეთ; 30 წუთის შემდეგ გაწურეთ და გამოივლეთ პირში 5-6-ჯერ დღეში.

გადაღლილობისა და უძილობის დროს დამამშვიდებელი ჩაისთვის 1 ჩ/კ გვირილას დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი. 10 წუთი გააჩერეთ, გაწურეთ და მიიღეთ 1 ჩ/კ თაფლიან წყალთან ერთად ძილის წინ.

## კრაზანა სანაღვლე გზების ფუნქციის დარღვევებს ებრძვის

კრაზანა შეიცავს სხვადასხვა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებას და აქვს მრავალმხრივი ფარმაკოლოგიური თვისება. ყველაზე აქტიური ნაერთებია ფლავონოიდები, რომლებიც ხსნის სპაზმებს სანაღვლე გზებიდან, ნაწლავებიდან, სისხლძარღვებიდან და შარდ-სასქესო, კერძოდ, შარდსადინარების გლუვი კუნთებიდან. ფლავონოიდები აუმჯობესებს ნაღვლის გამოდინებას, ეწინააღმდეგება შეგუბებით პროცესებს ნაღვლის ბუშტში და ამგვარად იცავს ორგანიზმს კენჭების წარმოქმნისგან.

ფლავონოიდები ასევე, ხსნის ნაწლავურ სპაზმებს, აღადგენს ნორმალურ პერისტალტიკას, აუმჯობესებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მონელებით ფუნქციას.

კრაზანა ხსნის სისხლძარღვთა, განსაკუთრებით კაპილარების სპაზმს, აუმჯობესებს ვენური სისხლის მიმოქცევას და ზოგიერთი შინაგანი ორგანოს სისხლით მომარაგებას, აძლიერებს შარდვას, იწვევს შარდსაწვეთების კედლის მოდუნებას და ამაღლებს თირკმლის ფილტრაციის დონეს.

კრაზანას ახასიათებს ანტიანთებითი და ანტიმიკრობული მოქმედება. ეს მცენარე ზრდის კუჭის სეკრეციას.

კრაზანის პრეპარატები ფართოდ გამოიყენება კუჭ-ნაწლავის, ღვიძლის, თირკმლის დაავადებების დროს. მის ნაყენს პირში სავლებად იყენებენ ღრძილების ანთებისა და სტომატიტების დროს, კომპრესების სახით კი ინფიცირებული, სისხლმდენი ჭრილობები უნდა დაიმუშაოთ.

კრაზანა ზრდის ადამიანის მგრძნობელობას მზის



სხივების მიმართ. ამიტომ, ის გამოიყენება კანის თეთრი ლაქების სამკურნალოდ.

კრაზანით დამზადებული პრეპარატები გამოიყენება სანაღვლე გზების ფუნქციური დარღვევების, ჰეპატიტების, ნაღვლის შეგუბების, ნაღვლის ბუშტის ანთების, ნაღველკენჭოვანი დაავადებების საწყისი სიმპტომების, დაბალი მჟავიანობით მიმდინარე გასტრიტების, თირკმელების ფუნქციის დაქვეითების, თირკმელ-კენჭოვანი დაავადებების დროს.

ნახარში ასე უნდა მოამზადოთ: მომინანქრებულ ჭურჭელში აურიეთ ნახევარი სუფრის კოვზი დაქუცმაცებული მცენარე, დაასხით ორი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, მოათავსეთ ორთქლის აბაზანაზე და ნახევარი საათი გააჩერეთ. შემდეგ გადმოდგით, გადაწურეთ და შეინახეთ გრილ ადგილას, ერთი დღე-ღამის განმავლობაში. მიიღეთ მესამედი ჩაის ჭიქა, დღეში სამჯერ, ჭამამდე ოცი წუთით ადრე.

## კუჭ-ნაწლავისთვის ბალბის ნაყენი შეუცვლელია



ბალბა სამკურნალო მცენარეა და მას ოდითგანვე იყენებდნენ სამკურნალო მედიცინის რეცეპტებში. მისი ყვავილები და ფოთლები შეიცავს ლორწოვან ნივთიერებებს, ტანინს, ა პროვიტამინს, ცე ვიტამინს, ორგანულ მჟავებს, ეთერზეთს, მინერალურ მარილებს, შაქარს და ფიტოსტეროლს.

ყვავილები აგრეთვე შეიცავს ანტოციანურ გლიკოზიდ მალვინს. ამ მცენარის ყვავილები და ფოთლები გამოიყენება, როგორც სპაზმოლიტური, ხველების საწინააღმდეგო საშუალება. ბალბის დამტკბარი ნახარში კარგია კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოშლის, სასუნთქი გზების ანთების, ასევე, კუჭქვეშა ჯირკვლის ანთებისა და ღვიძლის ჭვალის დროსაც.

ნაყენი შემდეგნაირად უნდა მოამზადოთ: ოცი გრამი ბალბა ჩაყარეთ ჭურჭელში, დაასხით ორასი მილილიტრი წყალი (ერთი ჩაის ჭიქა), დაახურეთ კარგად თავზე და გააცხელეთ მდუღარე წყლის ორთქლზე, დაახლოებით, ოცი წუთი. შემდეგ გადმოდგით და გადაწურეთ. დარჩენილი ნაყენი შეავსეთ ანადუღარი წყლით საწყის მოცულობამდე. მიიღეთ მეოთხედი ჩაის ჭიქა, დღეში სამჯერ. ეს ნაყენი ასევე კარგია საყლაპავი მილისა და ხორხის ანთების დროსაც.

აგრეთვე, ბალბა, კარგია საჭმლის მომნელებელი სისტემის ანთებითი დაავადებების, ცისტიტების, ქოლეცისტიტის, გარეგანი კონიუნქტივიტების, ჩირქოვანი ჭრილობების დროს. ამისთვის ნაყენი ასე მოამზადეთ: ერთ სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ ბალბის ფოთოლს დაასხით ერთი ჩაის ჭიქა ცივი წყალი, დადგით დაახლოებით ხუთი საათი და შემდეგ გადაწურეთ. დალიეთ ნაყენი ნელ-ნელა, ყლუპ-ყლუპით.

## ცაცხვის სამკურნალო თვისებები

ცაცხვს სამკურნალო თვისებებს სძენს ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების კომპლექსი, რომელიც კონცენტრირებულია მის ყვავილებსა და ფოთლებში.

ყვავილები შეიცავენ პოლიფენოლების (ფლავონოიდებს), ლორწოვან ნივთიერებებს და მცირე რაოდენობით – ეთეროვან ზეთს, არომატულ მჟავებსა და ტანინს.

ხალხური მედიცინით – ცაცხვის ყვავილის ჩაი რეკომენდებულია როგორც ოფლმდენი, სიცხის დამწევი, ხველების საწინააღმდეგო საშუალება, ნახარში ასუფთავებს ფილტვებს ნახველისაგან. ცაცხვის ქერქითა და ყვავილედით დამზადებულ ნაყენს აქვს ანთების საწინააღმდეგო, ანტიმიკრობული და გამწმენდი თვისება. იყენებენ ანთებითი დაავადებებისა და ანგინის დროს პირში გამოსავლებად, გრიპისა და გაციებების დროს.

ცაცხვის ყვავილის ნახარში ასტიმულირებს კუჭის წვენის გამოყოფას, ხსნის სპაზმებს, გამოიყენება როგორც მეტეორიზმის, ისე დიარეის დროს:

– 4 ს/კ ცაცხვის ყვავილს დაასხით 1 ლ წყალი, წამოადუღეთ, შეაგრილეთ, გაწურეთ. სვით 1/2 ჩ/ჭ თბილი ნახარში 2-3-ჯერ დღეში.

ჰომეოპათები ცაცხვის ყვავილის ნახარშს უნიშნავენ ცენტრალური ნერვული სისტემისა და შაკიკის



დროს, როგორც დამამშვიდებელ საშუალებას:

– 1 ს/კ ყვავილს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 40 წუთი, გაწურეთ და სვით 100-150 მლ თბილი ნაყენი 3-4-ჯერ დღეში.

დღის განმავლობაში დაზიანებული კანი რამდენჯერმე უნდა გაიწმინდოს ყვავილედის ნახარშით. ცაცხვის ხის დაფქული ქერქი ან მისი ექსტრაქტი წმენდს ორგანიზმს, ღვიძლის უკმარისობისა და ნაღვლის ბუშტის კენჭების დროს ასტიმულირებს სეკრეციას და ნაღვლის გამოყოფას: დღეში 3-ჯერ (დილით, შუადღისას და საღამოს) სვით თბილ წყალში გახსნილი ერთი კაფსულა ზაბოლონის (ხის ქერქი) ფხვნილი (აფთიაქში იყიდება).

## წიწვების სასმელი ვიტამინებით მოგამარაგებთ

ეს მარადმწვანე მცენარეები, თავიანთი განუმეორებელი არომატითა და სამკურნალო თვისებებით, სამართლიანად იმკვიდრებენ განსაკუთრებულ ადგილს არა მხოლოდ სამედიცინო, არამედ კოსმეტიკურ კომპონენტებს შორისაც.

ნაძვს, ფიჭვს, კვიპაროსს, თავიანთი განსხვავებული გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიუხედავად, მსგავსი სამკურნალო თვისებები აქვთ. ამიტომ სხვადასხვა ქვეყნის კოსმეტოლოგები, პარფიუმერები და მედიკოსები აქტიურად იყენებენ მათ.

წიწვებში ასკორბინის მჟავა ექვსჯერ მეტია, ვიდრე ციტრუსებში და ოცდახუთჯერ მეტი, ვიდრე ხახვში. გარდა



იმისა, რომ წიწვები რეკორდული რაოდენობით შეიცავს ცე ვიტამინს, მათში ასევე ბევრია სხვა ვიტამინები, მიკროელემენტები, ჰორმონალური ნივთიერებები, კაროტინი, ფიტონციდები და სხვა სასარგებლო ნივთიერებები, ხოლო წიწვების ნაწური შეიცავს ნივთიერებას, რომელსაც ანტიბაქტერიული და დამცველი ზემოქმედება აქვს. ძველად ნაძვის ნახარშით ბევრ დაავადებას მკურნალობდნენ და ძალას აღიდგენდნენ.

სწორედ ამ მიზეზით არცთუ დიდი ხნის წინ ამ ნივთიერების აქტიურად გამოყენება დაიწყეს იმ პრეპარატებში, რომლებიც ანთებისაგან კანის დასაცავადაა გამიზნული. წიწვების ექსტრაქტის აბაზანას მატონიზებელი ეფექტი აქვს. სპეციალისტებისთვის უდიდესი ღირებულება აქვს წიწვების ეთეროვან ზეთს. დამტკიცებულია, რომ ის სასიკეთოდ მოქმედებს ფსიქიკაზე, ხსნის დაძაბულობას, გაღიზიანებას. დეპრესიის განკურნებაც კი შეუძლია. ალბათ ამით აიხსნება ჩვენი ამაღლებული საახალწლო განწყობილება.

დიდი ხნის განმავლობაში წიწვოვანთა არომატები მხოლოდ მამაკაცებისათვის იყო განკუთვნილი. ახლა ყველა ეს სურნელი შეიძლება ქალის სუნამოებშიც შეგხვდეთ. ჩამოთვლილი ღირებულებების გარდა, წიწვებს აქვს კიდევ ერთი პლუსი – მწვანე ფერი. მისი სასიკეთო ზემოქმედება ფსიქიკაზე ყველასთვის ცნობილია.

წიწვებისგან სასარგებლო ვიტამინებით მდიდარი სასმელი მზადდება. ადუღებულ წყალში კარგად გარეცხილი ნაძვის წიწვები, შაქარი, ლიმონის კანი ჩაუშვით და 30 წუთი დაბალ ცეცხლზე ხარშეთ.

გაწურეთ, დაუმატეთ ლიმონის წვენი, დღეში 50-100 მლ მიიღეთ. სასმელის მოსამზადებლად დაგჭირდებათ: წიწვები – 40 გრ, შაქარი – 8 გრ, წყალი – 215 გრ, ლიმონის წვენი – 3 გრ, ერთი ლიმონის კანი.

## წითელი ქარი – კანის მწვავე ანთებითი დაავადება



გამომწვევია სტრეპტოკოკი, რომელიც ხვდება კანში დაზიანებული ადგილიდან. დაავადება იწყება უეცრად. იწვევს ტემპერატურას, დამახასიათებელია თავის ტკივილი, ზოგჯერ ღებინება. დაზიანებულ კანზე ჩნდება სიწითლე, რომელიც ხელის შეხებით მტკივნეული და ცხელია.

წითელი ქარი ხშირად ჩნდება სახესა და ქვედა კიდურებზე.

– ავადმყოფ ადგილზე იყრიან ჭვავის ფქვილს, ზემოდან აფარებენ ცისფერ ქაღალდს და იხვევენ. იცვლიან ყოველდღე. ეს პროცედურა უნდა ჩატარდეს დილით ადრე, მზის ამოსვლამდე 1 საათით ადრე.

– ბამბას ასველებენ ქაფურის ზეთში და იდებენ გაწითლებულ ადგილზე. შემდეგ იხვევენ. პროცედურას ატარებენ დღეში ორჯერ.

– დინდგელის მალამოს წასმა კურნავს წითელ ქარს 3-4 დღეში.

– კარტოფილის ფქვილს იყრიან გაწითლებულ უბანზე და ზემოდან აფენენ საფენს.

– დაზიანებულ ადგილზე ისვამენ ღორის ქონს ყოველ 2 საათში.

– დაზიანებულ ადგილზე იდებენ მრავალძარღვას ფოთოლს (უმჯობესია ახალდაკრეფილი).

– ვირისტერფას ახალ ფოთლებს იდებენ დაზიანებულ ადგილზე და იხვევენ.

– აიღეთ დედოფლისთითა, სამფერი ია და ორკბილა, თითოეული 10-10 გრამის ოდენობით 1 ლიტრ წყალზე. ადუღეთ 20-25 წუთის განმავლობაში. 1 ლიტრი ნახარში ერთი დღე-ღამის დოზაა.

გარეგან სახმარად კი გამოიყენეთ შემდეგი საშუალება – დედოფლისთითას ნედლ, აყვავებულ ბალახიდან გამოწურულ 250 გრამ წვენს 250 გრამ 90%-იან სპირტს ასხამენ. დგამენ 10 დღის განმავლობაში. ისვამენ დაზიანებულ ადგილზე.

– აიღეთ 50 გრამი ნატურალური თაფლი, 50 გრამი ზეითუნის ზეთი, 20 დაფხვნილი აბი სტრეპტოციდი, ერთმანეთში აურიეთ, წამოადუღეთ, გააცივეთ და ფეხზე წაისვით დღეში სამჯერ. რამდენიმე დღეში დაავადება გაივლის.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# 10 ყველაზე წარმატებული მწვრთნელი ევროტურნირების ისტორიაში

ჩემპიონთა ლიგა ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირია მსოფლიოში. მის მოგებაზე ყველა ოცნებობს, მაგრამ ფინალში თამაშის უფლება მხოლოდ საუკეთესოებს აქვთ. ლიგის სახელი მსოფლიო დონის ფეხბურთელებთან და მწვრთნელებთანაა ასოცირებული. წარმოგიდგეთ უეფას ევროტურნირის ისტორიაში ყველაზე წარმატებული მწვრთნელებისგან შემდგარ ათეულს.

**10) კარლო ანჩელოტი (იტალია)**

ანჩელოტიმ 2003, 2007 და 2014 წლებში მოახერხა ჩემპიონთა ლიგის მოგება, ხოლო 2005 წელს მისი მილანი ლივერპულთან დრამატულ ბრძოლაში პენალტების სერიაში დამარცხდა. იტალიელმა ფეხბურთელის ამპლუაშიც 2-ჯერ აღმართა თავს ზემოთ ლიგის თასი მაშინ, როდესაც მილანის ღირსებას იცავდა.

**9) იოჰან კრუიფი (ჰოლანდია)**

იოჰან კრუიფმა ჯერ ფეხბურთელობის პერიოდში სამჯერ მოიგო ჩემპიონთა თასი აიაქსის შემადგენლობაში, ხოლო 1992 წელს ბარსელონა უკვე მწვრთნელის ამპლუაში გააჩემპიონა. ამის შემდეგ კრუიფმა კიდევ ერთხელ გაიყვანა კატალონიური გუნდი ლიგის ფინალში, თუმცა გადამწყვეტ მატჩში 1994 წელს ბარსა მილანთან 0:4 განადგურდა.

**8) უდო ლატეკი (გერმანია)**

გვიან 70-იანებში და 80-იანი წლების დასაწყისში გერმანელმა სპეციალისტმა ჩემპიონთა თასის, უეფას თასისა და უეფას თასების მფლობელთა თასის მოპოვება მოახერხა. 1974 წელს მან ბაიერნს ჩემპიონთა თასი მოაგებინა, 1979 წელს უეფას თასს გლადბახთან ერთად დაეუფლა, ხოლო 1982 წელს თასების მფლობელთა თასის მოგება ბარსელონას მთავარი მწვრთნელის რანგში იზეიმა.

**7) რაფაელ ბენიტესი (ესპანეთი)**

რაფაელ ბენიტესის სახელი ევროპული ფეხბურთის მასშტაბით განთქმულია. 2002 და 2004 წლებში მან ვალენსია მაშინ გააჩემპიონა ესპანეთის პრიმერაში, როცა ბარსა და რეალი არავის წარმატების შანსს არ აძლევდნენ. 2004 წელს „ღამურებს" უეფას თასიც მოაგებინა, ხოლო მის კარიერაში მთავარი წარმატება 1 წლის შემდეგ მოვიდა, 2005-ში ბენიტესმა ჩემპიონთა ლიგა ლივერპულის მთავარი მწვრთნელის რანგში მოიგო, ხოლო 2007 წელს მისმა გუნდმა ფინალში წააგო. ბოლო ევროპულ წარმატებას ბენიტესმა 2013 წელს მიაღწია, მისმა ჩელსიმ კი, ევროპის ლიგის ფინალში ბენფიკა დაამარცხა.

**6) ხოსე ლორენტე (ესპანეთი)**

მადრიდის რეალის ოქროს წლების დასაწყისი სწორედ ლორენტეს სახელთანაა დაკავშირებული. სამეფო გუნდმა თავისი პირველი ჩემპიონთა თასი 1956 წელს სწორედ მისი ხელმძღვანელობით მოიგო, იგივე 1957 წელსაც გააკეთა და ამის შემდეგ ლორენტემ გუნდი დატოვა. მოგვიანებით, 1962 წელს ლორენტემ ატლეტიკოს თასების მფლობელთა თასი მოაგებინა, 1964 წელს კი, მისმა გაწვრთნილმა ესპანეთის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონობა იზეიმა.

**5) ჟოზე მოურინიო (პორტუგალია)**

ჟოზემ თავის პირველ ევროპულ წარმატებას პორტოსთან ერთად 2003 წელს მიაღწია, როდესაც უეფას თასი მოიგო. ერთი სეზონის შემდეგ „განსაკუთრებულმა" უკვე ჩემპიონთა ლიგაზეც გაამარჯვებინა პორტუგალიელებს, ხოლო მისი უკანასკნელი ევროპული ტიტული 2010 წლით თარიღდება, მაშინ მან ჩემპიონთა ლიგა ინტერის მთავარი მწვრთნელის რანგში მოიგო.

**4) ნერეო როკო (იტალია)**

„კატენაჩოს" სტილის მოტრფიალე როკომ მილანთან ერთად დაუჯერებელი მწვერვალები დაიპყრო. „როსონერის" 1963 და 1969 წლებში ჩემპიონთა თასი მოაგებინა, ხოლო 1968 და 1973 წლებში – თასების მფლობელთა თასი. როკოს ხელმძღვანელობით მილანელებმა ბევრი ლოკალური წარმატებაც იზეიმეს, ხოლო 2012 წელს იგი იტალიური ფეხბურთის დიდების დარბაზში შეიყვანეს.

**3) სერ ალექს ფერგიუსონი (შოტლანდია)**

ბრიტანული ფეხბურთის ისტორიაში დაუჯერებელი და არნახული ეპოქის შემოქმედმა პირველ ევროპულ წარმატებას ჯერ კიდევ აბერდინში მიაღწია. მისმა გუნდმა 1983 წელს, თასების მფლობელთა თასის ფინალში მადრიდის რეალი დაამარცხა, იმავე წელს კი უეფას სუპერ თასიც მოიგო. იგივეს გაკეთება 1991 წელს უკვე მანჩესტერში მოახერხა, „წითელმა ეშმაკებმა" იმ წელს თასების მფლობელთა თასის ფინალი ბარსელონას მოუგეს, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ სუპერ თასზე სერბულ ცრვენა ზვეზდას აჯობეს. ფერგი მთავარი ევროპული ტურნირის მფლობელად 1999 წელს მოგვევლინა, მისმა მანჩესტერმა ფინალში მიუნხენის ბაიერნს აჯობა. შემდეგ იყო კიდევ ერთხელ მოგებული ჩემპიონთა ლიგა 2008 წელს და სწორედ აქ მთავრდება ფერგიუსონის ევროპული წარმატებებიც. 2009 და 2011 წლებში იუნაიტედს ლიგის მოგება ბარსელონამ არ დაანება.

**2) ბობ პიზლი (ინგლისი)**

ლეგენდარული ბილ შენკლის სამართალმემკვიდრემ სწორედ ამ უკანასკნელის თანაშემწის რანგში მიაღწია პირველ ევროპულ წარმატებებს, ამის შემდეგ კი უშუალოდ მისი ერა იწყება. პიზლიმ 1976 წელს ლივერპულს ჯერ უეფას თასი მოაგებინა, ხოლო ერთი წლის შემდეგ ჩემპიონთა თასიც. იმავეს გაკეთება მან 1978 და 1981 წლებშიც მოახერხა. მის ტიტულატურაში ასევე შედის 1976 წელს მოგებული უეფას სუპერ თასის ჯილდოც.

**1) ჯოვანი ტრაპატონი (იტალია)**

ათეულს იტალიელი ტრაპატონი დახურავს. აპენინელმა სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში 6 ევროპული ტიტული მოიპოვა. იგი ნერეო როკოს მილანის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა იყო, წარმატებები კი არც მოგვიანებით მოჰკლებია. იუვენტუსის მთავარი მწვრთნელის პოსტზე მან 5 ევროპული ტიტული მოიპოვა, მათ შორის ყველაზე აღსანიშნავია 1985 წელს მოგებული ჩემპიონთა თასი. მისი კარიერიდან აღსანიშნავია ინტერში გატარებული პერიოდიც. ლოკალური წარმატებების ფონზე 1991 წელს „ნერაძურის" მან უეფას თასიც მოაგებინა.



# იქნება შვაინშტაიგერი მოურინიოს პირველი მსხვერპლი?



გერმანელი ფეხბურთელის, ბასტიან შვაინშტაიგერის მანჩესტერული მომავალი ბურუსით არის მოცული. იუნაიტედის პორტუგალიელმა მწვრთნელმა, ჟოზე მოურინიომ ბასტი პრემიერლიგის განაცხადში კი შეიყვანა, მაგრამ ევროპის ლიგის მიღმა დატოვა. არადა, ამ ორი პიროვნების ურთიერთობა, სხვაგვარად დაიწყო...

2010 წელი. აგვისტო. ბაიერნის რიგებში მყოფი შვაინშტაიგერი, მადრიდის რეალის წინააღმდეგ პენალტების სერიაში დამარცხების შემდეგ, მოედანს იმედგაცრუებული ტოვებს. ალიანც არენის ლაბირინთიდან გამოსვლის დროს, ჯერ კიდევ მადრიდის რეალის მწვრთნელი, ჟოზე შვაინშტაიგერს შეხვდა. მათი თვალები ერთმანეთს დაეჯახნენ.

– შენი შეძენა გასულ წელს მსურდა, თუმცა არაფერი გამოვიდა, მაგრამ მომავალ სეზონში ჩვენ აუცილებლად ერთად ვიმუშავებთ, – ეს არის სიტყვები, რომლითაც პორტუგალიელმა გერმანელს მიმართა.

მოურინიო აფასებს შვაინშტაიგერს

6 წლის შემდეგ, მოურინიოს ოცნება ახდა. 2 მსოფლიოს ვარსკვლავის გზა, ინგლისის ყველაზე ტიტულოვან კლუბს – მანჩესტერ იუნაიტედში შეერთდა.

ჟოზე და ბასტიანი ერთმანეთს უკვე დიდი ხანია რაც იცნობენ და შესანიშნავი ურთიერთობაც აქვთ. „რეკორდმაისტერში" თამაშისას, მოურინიოს მისი შეძენა ჯერ ინტერში, ხოლო შემდეგ კი რეალში მუშაობისას სურდა, თუმცა მისი ყველა მცდელობა წარუმატებელი გამოდგა.

2014 წლის ბრაზილიის მუნდიალზე მოურინიომ გერმანიის ნაკრებზე შემდეგი კომენტარი გააკეთა: გერმანია ყოველთვის ყველაზე საუკეთესოდ თამაშობს, როდესაც გუნდში შვაინშტაიგერია, რომელიც ნახევარდაცვის ხაზს ასტაბილურებს.

მას შემდეგ, რაც მოურინიომ ეს ფრაზა წარმოთქვა, ორი წელი გავიდა და ბევრი რამ შეიცვალა. შვაინშტაიგერს არ აქვს ნაკრებში უკვე ისეთი როლი, როგორიც ეს მსოფლიო ჩემპიონატის ტრიუმფის დროს ჰქონდა. გარდა ამისა, 31 წლის ნახევარმცველს პერიოდული ტრავმები აწუხებს, რის გამოც გასულ სეზონში იგი მოედანზე იშვიათად გამოდიოდა.

2 წარუმატებელი სეზონის შემდეგ, „წითელი ეშმაკები" ძველი დიდების დაბრუნებას კვლავ ეცდებიან, სწორედ ამიტომ კლუბის ბოსებმა ჟოზე მოურინიოს სრული თავისუფლება მისცეს.

იქნება მოუს „მსხვერპლი" შვაინშტაიგერი? ბრიტანული პრესის ინფორმაციით, ლუი ვან გაალთან მუშაობის დროს, სხვა ფეხბურთელებისგან განსხვავებით, გერმანელი განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდა. „განსაკუთრებულის" მისვლის შემდეგ კი, სავარაუდოდ, შვაინი საკუთარ „განსაკუთრებულ სტატუსს" დაკარგავს.

იმ შემთხვევაში, თუ შვაინშტაიგერი „განსაკუთრებულის" სისტემაში ვერ ჩაჯდება, შედეგი გადამწყვეტი და ფატალური იქნება. ვან გაალისა და გვარდიოლას ხელმძღვანელობის შემდეგ, 31 წლის ფეხბურთელს კარგი ფიზიკური ფორმა და სწრაფი რეაგირება მართებს. შვაინშტაიგერს კი ნახევარდაცვაში საკმაოდ ნელი თამაში ახასიათებს.

მეორე მხრივ, ფიზიკურ კომპონენტთან ერთად მოურინიო წამყვან ფეხბურთელებს დიდ უპირატესობას, პიროვნულ ხასიათს ანიჭებს. წინა კლუბებში, პორტუგალიელის თითოეული მოთამაშე ქარიზმატული და ავტორიტეტული სტრატეგი იყო. დეკუ (პორტოში), სტანკოვიჩი (ინტერში), ლამპარდი (ჩელსიში) და ალონსო (რეალში) – ყველანი საკუთარი ქმედებებით გამოირჩეოდნენ და ამით მოწინააღმდეგეზე ძალიან დიდ შთაბეჭდილებას ახდენდნენ. შვაინშტაიგერს კი ამის ძალა ნამდვილად შესწევს.



# შავი ზღვის ბიჭები პორტუში ჩაიძირნენ

ბათუმის შავი ზღვის ბიჭებმა ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე, პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე 2 მატჩი გამართა პორტუგალიაში, პორტუსთან. პირველი შეხვედრა მასპინძლებმა 49:16 მოიგეს, ხოლო მეორე – 44:16 და მეორე წრეში სლოვენიის კოპერს შეხვდებიან.

საქართველოს ჩემპიონს ევროტურნირებზე დებიუტი ჰქონდა და ძალიან ძლიერი მეტოქე შეხვდა. თუმცა, ასეთი კატასტროფული ანგარიშებით მარცხი სულაც არ ამართლებს ჩვენი გუნდის გამოსვლას.

ამ სეზონში საქართველოდან მეორე გუნდიც ითამაშებს – ქალთა ჩელენჯ კაპზე თბილისის მამული ნოემბერში, ოსტრავასა და თბილისში ეთამაშება ჩეხეთის სოკოლ პორუბას.

გაიმართა კაცების ჩემპიონთა ლიგის ორი საკვალიფიკაციო ტურნირი და 2016-17 წლების ჯგუფური ეტაპიც მთლიანად დაკომპლექტდა. ორი საგზური მოიპოვეს სლოვაკეთის ტატრან პრეშოვმა და პორტუგალიის ბრაგამ. ჯგუფური ეტაპი 22 სექტემბრიდან დაიწყება, მომდევნო უქმეებზე კი ქალთა ლიგის კვალიფიკაცია გაიმართება.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## შედეგები

**4 სექტემბერი**

**ფეხბურთი**

**მჩ-2018. შესარჩევი ეტაპი**

| | |
|---|---|
| **ევროპა** | |
| სან მარინო-აზერბაიჯანი | 0:1 |
| ჩეხეთი-ჩრ.ირლანდია | 0:0 |
| ნორვეგია-გერმანია | 0:3 |
| დანია-სომხეთი | 1:0 |
| ყაზახეთი-პოლონეთი | 2:2 |
| რუმინეთი-ჩერნოგორია | 1:1 |
| ლიტვა-სლოვენია | 2:2 |
| სლოვაკეთი-ინგლისი | 0:1 |
| მალტა-შოტლანდია | 1:5 |
| **სამხრეთ ამერიკა** | |
| ბოლივია-პერუ | 2:0 |
| კოლუმბია-ვენესუელა | 2:0 |
| ეკვადორი-ბრაზილია | 0:3 |
| არგენტინა-ურუგვაი | 1:0 |
| პარაგვაი-ჩილე | 2:1 |
| **აფრიკა. ერთა თასი** | |
| მალავი-სვაზილენდი | 1:0 |
| ბურკინა ფასო-ბოსტვანა | 2:1 |
| უგანდა-კომორი | 1:0 |
| ზამბია-კენია | 1:1 |
| კონგო-გვინეა ბისაუ | 1:0 |
| ეკ.გვინეა-ს.სუდანი | 4:0 |
| გვინეა-ზიმბაბვე | 1:0 |
| დრ.კონგო-ს.აფრიკა | 4:1 |
| მალი-ბენინი | 5:2 |
| ნიგერი-ბურუნდი | 0:0 |
| ტოგო-ჯიბუტი | 5:0 |
| ტუნისი-ლიბერია | 4:1 |
| მაროკო-სან ტომე | 2:0 |
| ალჟირი-ლესოტო | 6:0 |
| **ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი** | |
| ნუმანსია-ალკორკონი | 1:1 |
| ხიმნასტიკი-ლევანტე | 1:1 |
| მალიორკა-ოვიედო | 0:0 |
| სარაგოსა-უესკა | 1:0 |
| **იტალია. სერია ბ** | |
| ვირტუსი-აველინო | 2:0 |
| კარპი-ბენევენტო | 1:1 |
| ლატინა-სპეცია | 0:0 |
| პიზა-ნოვარა | 1:0 |
| სალერნიტანა-ვერონა | 1:1 |
| სპალი-ვიჩენცა | 3:0 |
| ტრაპანი-პრო ვერჩელი | 1:1 |
| **პორტუგალია. პრიმეირა ლიგა** | |
| ნასიონალი-შავიში | 0:1 |

**ჩოგბურთი**

**ამერიკის ღია პირველობა**

| | |
|---|---|
| **ქალები** | |
| კვიტოვა-კერბერი | 3:6,5:7 |
| **კაცები** | |
| ჯოკოვიჩი-ედმუნდი | 6:2,6:16:4 |

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# დიდი 10 დაიწყო

დაიწყო დიდი 10-ის გათამაშება რაგბიში, რომლის მატჩები თბილისსა და ქუთაისში გაიმართა.

ორ სადებიუტო შეხვედრაში, რომლებიც პარალელურად თბილისსა და ქუთაისში გაიმართა, გამარჯვებები თბილისურ კლუბებს დარჩათ – „ავჭალაზე“ „აკადემიამ“ „ყოჩებს“, ხოლო „აია არენაზე“ ქვეყნის ჩემპიონმა „ლელო-სარასენსმა“ დებიუტანტ „ბაგრატს“ პრემიალური ქულით სძლია.

„ავჭალაზე“ აკადემიამ ბოლნისის ყოჩებს უმასპინძლა და პირველ ლელოც ამ მატჩში გავიდა – სიჭინავას ჩინებული თამაშის შემდეგ ბურთი მარგიანმა ლელოში დადო, ხოლო ახობაძემ გარდასახა. მალევე ახობაძემ ჯარიმით 10:0 გახადა.

მე-20 წუთზე ახობაძემ ახლოდან გატანილი ჯარიმით სხვაობა შეამცირა, რასაც აკადემიელთა კიდევ ერთი ლელო მოყვა – ბურთი სიჭინავამ დაამიწა, ხოლო ახობაძემ გარდასახა – 17:3.

შესვენების შემდეგ ჩხიკვაძემ ლელო დადო. გარდასახვა არაზუსტი იყო და სხვაობა მხოლოდ 9 ქულამდე შემცირდა – 8:17.

თითქოს სიტუაცია დაიძაბა, მაგრამ მათიაშვილმა 2 ჯარიმა გაიტანა, ხოლო ახობაძემ – არეკნი და მატჩიც 26:8 მორჩა.

ქუთაისში ქვეყნის ჩემპიონმა ლელო-სარასენსმა მეტოქეს პირველსავე ტაიმში 3 ლელო დაუდო, სამივე გარდასახა – 21:3. დიდი 10-ის დებიუტანტმა ბაგრატმა მეორე ტაიმში თბილისელებს ქულა აღარ აალებინა, თავად კიდევ ოთხი ჯარიმა გაიტანა და ერთი გარდასახული ლელოს ფარგლებში დამარცხდა – 15:21. ბაგრატმა უძლიერესთა შორის პირველი ქულა აიღო.

ქუთაისშივე აიასა და ბათუმის დაპირისპირება დაძაბული გამოდგა, გამარჯვება კი, მასპინძლებს დარჩათ.

შეხვედრის ერთადერთი ლელო მატჩის დებიუტში გავიდა: აიამ დერეფნის მოგების შემდეგ ხაზში გაიტანა ბურთი, ის სიღრმეში გიორგი აბრამიძემ მიიღო, მაღალ სიჩქარეზე მცველებს ჩაუქროლა და ლელოთი დაასრულა. გიორგი ბაბუნაშვილმა გარდასახვა ზუსტად შეასრულა. შესვენებამდე მასპინძლებმა ორი, ხოლო სტუმრებმა სამი ზუსტი დარტყმა განახორციელეს და ტაიმი 13:9 დასრულდა. მეორე ტაიმში მაყურებელმა აიას ერთადერთი ჯარიმა – 16:9. ზღვისპირელებმა 7-ქულიანი სხვაობით მარცხისთვის ერთი პრემიალური ქულა მიიღო.

თბილისში ფავორიტები გამოკვეთილი იყო და მათ დაგეგმილი გამარჯვებები მოიპოვეს. გორის ჯიქი არმიას შეხვდა და 22:3 მოგებით პრემიალური ქულაც ჩაიწერა.

ლოკომოტივი კი არმაზს ეთამაშა და 25:7 იმარჯვა, ოღონდ ეს გამარჯვება პრემიის მისაღებად საკმარისი არ აღმოჩნდა.

# რობერტ ლევანდოვსკი: რეალში გადასვლის საკითხი ჩემთვის დახურულია

გასული სატრანსფერო ფანჯრის დროს რობერტ ლევანდოვსკის მადრიდის რეალში ტრანსფერზე ძალიან ბევრი ჭორი იწერებოდა, არაერთი სპორტული გამოცემა იმასაც კი წერდა, რომ მისი რეალში ტრანსფერი მხოლოდ დროის საკითხი იყო.

თუმცა ახლახან რობერტ ლევანდოვსკიმ ყველაფერი კატეგორიულად უარყო და განაცხადა რომ რეალში გადასვლით არასდროს დაინტერესებულა, ამასთანავე აღნიშნა, რომ მადრიდული კლუბი არც მის სამომავლო გეგმებში შედის.

გეტყვით იმასაც, რომ რობერტ ლევანდოვსკი მიუნხენის ბაიერნში 2014 წელს დორტმუნდის ბორუსიადან გადმოვიდა და კლუბის ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბდა. აქვე გეტყვით იმასაც, რომ მადრიდის რეალი პოლონელით ჯერ კიდევ მისი დორტმუნდში ყოფნის პერიოდში ინტერესდებოდა, რობერტსაც რეალურად შეეძლო მადრიდულ კლუბში გადასვლა თუმცა ლევანდოვსკიმ რეალს მიუნხენის ბაიერნი ამჯობინა.

**რობერტ ლევანდოვსკი:**

– რეალურად გავრცელებული ჭორები ჩემში ინტერესს არ იწვევდა, არც ის მსიამოვნებდა, რომ ყოველდღე ვისმენდი იმ გუნდების შესახებ, რომლებიც ჩემი გადაბირებით ინტერესდებიან. ამას დავუმატოთ ისიც, რომ ბაიერნმა არაერთხელ განაცხადა, რომ ჩემს ტრანსფერზე დაყენებას არ აპირებს. ამიტომ, რეალში გადასვლის საკითხი ჩემთვის დახურულია.

ჩემთვის უდიდესი პატივია, რომ კარლო ანჩელოტის დონის სპეციალისტი ნდობას მიცხადებს. ჩემთვის, როგორც ფეხბურთელისთვის, ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. ვამაყობ იმ ფაქტით, რომ იტალიელმა სპეციალისტმა დანიშვნის დღიდან განაცხადა, რომ კლუბში საჭირო ფეხბურთელი ვიყავი და არსად არ გამიშვებდა, იტალიელმა უდიდესი ნდობა გამომიცხადა, ისევე, როგორც სრულიად ბაიერნმა, ეს ძალიან მახარებს.

ბაიერნში ჩემი მდგომარეობა ძალიან მაკმაყოფილებს, კლუბთან კიდევ 3 წელი მაკავშირებს, ამიტომ ზეწოლას არ ვგრძნობ. კლუბის ხელმძღვანელობასთან განვაცხადე, რომ მოლაპარაკებისათვის მზად ვარ. მჯერა, რომ უახლოეს მომავალში შეთანხმებასაც მივაღწევთ. სატრანსფერო ჭორები კი ჩვეულებრივი ამბავია, ევრო 2016-ის მიმდინარეობისას არაერთ გუნდში გამიშვეს, თუმცა ეს ყველაფერი შფოთვის საფუძველს არ იძლევა, ბაიერნმა ხომ მტკიცედ განაცხადა, რომ ჩემი გაშვება მათ სამომავლო გეგმებში არ შედის.




## დიდი პანდა გაქრობის პირას მყოფ სახეობას აღარ წარმოადგენს



ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირმა დიდი პანდა წითელ წიგნში გადაშენების პირას მყოფი სახეობიდან უფრო მსუბუქი, დასაცავი სახეობების კატეგორიაში გადააკვალიფიცირა.

– საშიშროების ხარისხის დონის დაწევა მეტყველებს ჩინეთის ხელისუფლების ხელმძღვანელობით განხორციელებულ წარმატებულ საქმიანობაზე და რომ თანხების ჩადება ისეთი მნიშვნელოვანი სახეობების გადარჩენაზე, როგორებსაც დიდი პანდაც განეკუთვნება, სრულად ანაზღაურდება, – განაცხადა ჩინეთში ბუნების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის განყოფილების აღმასრულებელმა დირექტორმა ლო ცზე პინმა.

ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა მარკო ლამბერტინიმ აღნიშნა, რომ მიუხედავად ჩინელი კოლეგების მიღწევისა, პანდები ჯერ კიდევ რჩებიან იშვით სახეობათა რიგში და მათ საბინადრო არეალს საფრთხე ემუქრება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



## გალიანისა და ბერლუსკონის მილანიდან უშვებენ

მოგეხსენებათ, მილანი ჩინელებმა შეიძინეს. მხოლოდ ეს ყველაფერი რამდენიმე თვეში დადასტურდება. იტალიური მედიის ინფორმაციით, კონსორციუმის მოსვლის შემდეგ, გუნდს ადრიანო გალიანი და ბარბარა ბერლუსკონი დატოვებენ.

ჩინელებს გადაწყვეტილი აქვთ, რომ გუნდიდან ყველაზე სუსტი კადრები გაუშვან, რომლებიც „როსონერის“ ვერაფერში ან არაფერში ეხმარებიან. მათ სურთ, რომ მილანი დაუყოვნებლივ დატოვოს ადრიანო გალიანიმ, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, საშინლად მუშაობს.

მეორე არის ბარბარა ბერლუსკონი, რომლის „როსონერიში“ როლიც ჯერჯერობით კვლავ მრავალი შეკითხვის ობიექტია.

ასე რომ, ჩინელებს გუნდის გაწმენდა და მილანში გამოცდილი და მაღალკვალიფიციური კადრების მიყვანა სურთ.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ასტროპროგნოზი
## 6 სექტემბრისთვის



**ვერძი** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. გაგიმახვილდებათ ინტუიცია. საჭირო დროს საუკეთესო გადაწყვეტილებას მიიღებთ. ნუ იქნებით იმპულსური. **კურო** – პროფესიონალურ სფეროში სიძნელეები გექმნებათ. თქვენს საქმეს სხვას ნუ გააკეთებინებთ. კრიზისული სიტუაციიდან გამოსავალი არასტანდარტული გზით ეძიეთ. **ტყუპები** – კრიტიკული დღეა. ნებისყოფა მოიკრიბეთ, იყავით უკომპრომისო. რადიკალურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **კირჩხიბი** – ენერგეტიკული პოტენციალის შესუსტებას გრძნობთ. თუ მეტისმეტად მგრძნობიარე ხართ, მაშინ შესაძლოა დეპრესიამ შემოგიტიოთ. **ლომი** – დღის პირველ ნახევარში ყოველგვარი საქმიანი შეხვედრა, მათ შორის რომანტიკულიც, სხვა დროისათვის გადადეთ. პრინციპულ საკითხებზე გარშემომყოფებთან მწვავე კამათია მოსალოდნელი. **ქალწული** – თუ წინდახედულობასა და შორსმჭვრეტელობას გამოიჩენთ, წარმატებას მიაღწევთ. გიმახვილდებათ ინტუიცია. საკუთარი პოზიცია დაიცავით. **სასწორი** – ახალი საქმის დაწყება წარმატებული იქნება, თუ მოქმედების ტაქტიკას გონივრულად შეარჩევთ. ეს განსაკუთრებით შემოქმედებითი პროფესიის ადამიანებს ეხებათ. **ღრიანკალი** – კრიტიკული და მოულოდნელობებით აღსავსე დღეა. პრობლემები არასტანდარტული გზით უნდა გადაჭრათ. **მშვილდოსანი** – ნებისმიერი საქმე თქვენგან საკმაოდ დიდ ენერგიას მოითხოვს. საკუთარი პოზიციის განმტკიცებას მხოლოდ გონების სისხარტითა და სწრაფი რეაქციით შეძლებთ. **თხის რქა** – ენერგეტიკულად მძლავრი დღეა. თამამად გარისკეთ. იღბალი ყველგან თან გდევთ. გელით სასიყვარულო თავგადასავალი ან ძალზე სასიხარულო შეხვედრა. **მერწყული** – საყიდლებზე წასვლა დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ. ნავაჭრი იღბლიანი იქნება. დღის პირველ ნახევარში ოდნავ დაბნეული ხართ, რაც შესაძლოა მცირედი გაუგებრობის მიზეზი გახდეს. **თევზები** – არაკეთილისმყოფელი დღეა. ასაკოვანმა ადამიანებმა ცხოვრებისეული პრობლემები გულთან ახლოს არ მიიტანოთ. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას შესუსტებული აურა გამოიწვევს. მოსალოდნელია ინფექციური დაავადებების გამწვავება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ზღვისპირა ბალნეოლოგიური კურორტი ოდესის მახლობლად; 2. ომონიმებით გარითმული ლექსი; 3. წერილობითი ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მხარეთა ვალდებულებებს; 4. პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ პერსონაჟი; 5. ჩრდილო ირლანდიის ადმინისტრაციული ცენტრი; 7. მანძილის საზომი აშშ-ში; 11. ხალხური თქმულება; 13. მათემატიკური დებულება, რომლის მართებულობას ადგენენ მტკიცების გზით; 15. გერმანული მოდების ჟურნალი; 16. საქართველოს რაგბისტთა ნაკრების მწვრთნელი; 18. ერთწლიანი პარკოსანი, ბალახოვანი მცენარე; 19. ვეშაპებზე სანადირო სატყორცნი იარაღი.

**თარაზულად:** 6. ქალაქი საფრანგეთში, სადაც ტარდებოდა მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 8. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 9. შავი ფერის ტკბილი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 10. ხეობა საქართველოში; 12. ილეთი ჭიდაობაში; 14. რთული, დახლართული საქმე სასამართლო პრაქტიკაში; 17. დედამიწის ყველაზე ცხელი ბუნებრივი ზონა; 20. ორადგილიანი ველოსიპედი; 21. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 22. შტატი აშშ-ში; 23. კინოცენტრი იტალიაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. ბალზაკი; 3. ვენერა; 8. ალმანი; 10. კარტელი; 11. ექსპო; 12. მირანდა; 14. გრანდი; 15. კრაზანა; 16. რკალი; 19. კრიპტო; 20. სამურაი; 21. კატარი.

**შვეულად:** 1. ბისექტრისა; 2. კოდაკი; 3. ვენეცია; 4. რეისი; 5. ოლეანდრი; 6. მარნა; 7. დისპლეი; 9. საპონი; 13. მარიო; 17. ანოა; 18. ბეი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. სკა; 2. ამია; 3. აირანი; 4. ალი; 5. კიმ; 6. არა; 7. არია; 8. საია; 9. ვაფლი; 10. ასორტი; 11. აბა; 12. მაიკ; 13. ატიმია; 14. აბელი; 15. მელ; 16. ინა; 17. კალა; 18. ნეი; 19. კივი; 20. პირანია; 21. მიო; 22. ხი; 23. პანთერა; 24. უი; 25. კუ; 26. აპდაიკი; 27. სიო; 28. დუ; 29. ორთი; 30. მოდიუსი; 31. კარლ; 32. მონიტორი; 33. აკრი; 34. რემისია.

**სურათებზე:** ლაიმა ვაიკულე; ლუკას პოდოლსკი.

# არჩილ ჩიხლაძე მოხუცთა თავშესაფარში გადაიყვანეს



მაყვალა და არჩილ ჩიხლაძეების დუეტი წლების განმავლობაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა მსმენელში. სიმღერა „კართან მოდგა შემოდგომა“ მათი შემოქმედების სავიზიტო ბარათად იქცა. ცოლ-ქმარი ერთმანეთს დაშორდა და ცალ-ცალკე დაიწყო ცხოვრება.

83 წლის არჩილ ჩიხლაძე ძველ თბილისში უშუქობასა და უგაზობაში უმძიმეს პირობებში ცხოვრობდა. მისი მდგომარეობის შესახებ ჟურნალისტებმა ბევრჯერ დაწერეს, მაგრამ მომღერლის შვილი ირმა ჩიხლაძე ირწმუნებოდა, რომ მას მხოლოდ ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა და მატერიალურ სიდუხჭირეს არ განიცდიდა.

რამდენიმე დღის წინ არჩილ ჩიხლაძესთან დაკავშირებით ინტერნეტში ახალი ვიდეო გავრცელდა. მომღერალი თბილისში ერთ-ერთ მოხუცებულთა თავშესაფარში ცხოვრობს. მისი და მაყვალა ჩიხლაძეების დუეტი 33 წლის შემდეგ კვლავ აღდგა და მათ ისევ იმღერეს მსმენელისთვის მონატრებული და დაუვიწყარი „კართან მოდგა შემოდგომა“.

მათი დუეტის ვიდეო ინტერნეტში გავრცელდა მინაწერით:

– არჩილ და მაყვალა ჩიხლაძეები. დუეტი 33-წლიანი შესვენების შემდეგ. სწორედ ჩვენი პანსიონატი გახდა მიზეზი 33-წლიანი შესვენების შეწყვეტისა. ბატონი არჩილი ამ სახლის ერთ-ერთი მასპინძელია, ის ბენეფიციარია. საოცრად თბილი და მშვიდი ბატონი არჩილი...

# ფშავში სანათაობა აღინიშნა

ფშავში, სოფელ ხოშარას მცხოვრებლებმა სახალხო დღესასწაული სანათობა აღნიშნეს. ეს დღესასწაული ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი გამორჩეული პოემის, „ბახტრიონის“ პერსონაჟს, სანათას ეძღვნება.

სახალხო დღესასწაულზე შეკრებილი საზოგადოებისთვის ღონისძიებაში მონაწილეებმა ვაჟას პოემიდან ამონარიდები წაიკითხეს, შესრულდა ქართული ხალხური ფოლკლორული სიმღერები და წარმოდგენილი იყო ქორეოგრაფიული ნომრები.

ფშავში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, სანათას მხნეობისა და შეუპოვრობის სიმბოლოდ მოიხსენიებენ. სახალხო დღესასწაულზე კი ვაჟა-ფშაველას და კერძოდ, „ბახტრიონის“ თაყვანისმცემლები იკრიბებიან.

# თამო ვაშალომიძემ უკრაინული „კოსმოპოლიტენისთვის“ იპოზიორა



ქართველმა სექს სიმბოლომ თამო ვაშალომიძემ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ჟურნალისთვის „კოსმოპოლიტენისთვის“ იპოზიორა.

თამო ვაშალომიძე პოპულარული საკმაოდ სკანდალურად გახდა. მედავითნე მოულოდნელად მოდელი გახდა და კოჭებამდე ჩაცმული კაბა ბიკინსა და მინი კაბაზე გაცვალა.

სხვადასხვა სილამაზის კონკურსებში წარუმატებლობის შემდეგ, თამო ვაშალომიძე მის ბიკინის სახე გახდა. მის ბიკინი ის სილამაზის კონკურსია, სადაც წლების წინ მოდელი საუკეთესოთა შორისაც არ დასახელდა.

თამო ვაშალომიძე პოპულარული არა მხოლოდ საქართველოშია, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მოდელი უკრაინაში მიიწვიეს, სადაც კიევში „კოსმოპოლიტენისთვის“ დაგეგმილ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა.

ეს მისთვის პირველი ფოტოსესია აღმოჩნდა, რომელშიც მოდელს გახდა არ მოუწია. ფოტოები თამო ვაშალომიძემ ერთ-ერთი ქართველი დიზაინერის კოლექციისთვის გადაიღო, რომლის მაღაზიაც კიევში გაიხსნა.

# თიკა ჯამბურია: „მივხვდი, რომ გავიზარდე“



მომღერალი თიკა ჯამბურია ბავშვობიდან ყურადღების ცენტრშია. მიუხედავად იმისა, რომ თიკა უკვე 5 წლის ნინას დედაა, მხოლოდ წელს აღმოაჩინა, რომ გაიზარდა და მასში ბევრი ცვლილება მოხდა.

თიკა ჯამბურია:

– ჩემი ზაფხული დამთავრდა... ამ ზაფხულს მივხვდი, რომ გავიზარდე და უკვე დიდი გოგო ვარ. ბევრი ცვლილება მოხდა ჩემს თავში... ბევრი ადამიანი ამოვიცანი და ბევრ უსამართლობას და ყალბ ურთიერთობას წერტილი დავუსვი... ვიმოგზაურე ბევრი... თანაც მარტომ და იმდენი რამე ვისწავლე და ვნახე, რაც 25 წლის მანძილზე ჩემთვის თურმე შეუმჩნეველი იყო... და ბოლოს, ეს იყო ყველაზე მრავალფეროვანი შთამბეჭდავი და სიახლეებით სავსე ზაფხული... აღმოვაჩინე ქალაქი, რომელშიც თავს ყველაზე კომფორტულად ვგრძნობდი... მადრიდო, მე შენთან მალე დავბრუნდები.

# სამგლოვიარო განცხადებები



ქ.თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა და ბიბლიოთეკა-ფილიალების თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან მთავარი ბიბლიოთეკისა და თბილისის ბიბლიოთეკების გაერთიანების ყოფილი გენერალური დირექტორის, ქალბატონი

**ციალა კალმახელიძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ქალბატონი ციალა 25 წელი ხელმძღვანელობდა თბილისის ბიბლიოთეკების გაერთიანებას, იყო შესანიშნავი მმართველი, პროფესიონალი, თანამშრომლების ჭირ-ვარამის გამზიარებელი, ქველმოქმედი.

დაე, უფალმა დაუმკვიდროს ადგილი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

ქ.თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა და ბიბლიოთეკა-ფილიალების თანამშრომლები თანაუგრძნობენ №7 ბიბლიოთეკა-ფილიალის თანამშრომელს ნათია ქავთარაძეს შვილის

**ვაკო (ვალერიან) სანოძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

**ომარ გაბეჩავას ნათელ ხსოვნას**



ჩვენო საყვარელო უმცროსო ძმაო, 9 სექტემბერს სრულდება 40 დღე, რაც ჩვენ გვერდით არ ხარ. დიდი გულისტკივილით ვგლოვობთ ამ ქვეყნიდან მარადიულ სასუფეველში შენს გადანაცვლებას.

დახმარებისთვის ყოველთვის მზადმყოფი, უღალატო და საიმედო მეგობარი იყავი ყველასათვის, ამიტომაც დატოვე დიდი სითბო და პატივისცემა.

არასდროს დაგივიწყებთ. მუდამ ჩვენს გულებში იქნები.

*ელგუჯა და ჯონდი გაბეჩავები ოჯახებით*

ნუგზარ ცერცვაძის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება

**თემურ ვაჟას ძე გუმბერიძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ნათესავებს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# გოგი დოლიძეს 62 წელი შეუსრულდებოდა



მომღერალსა და „ქართული ხმების“ ერთ-ერთ წევრს გოგი დოლიძეს 62 წელი შეუსრულდებოდა.

მისი მუსიკალური კარიერა უცხო ენათა ინსტიტუტში, სტუდენტობის დროს დაიწყო, რასაც მოჰყვა სიმღერა ფოლკლორულ ანსამბლ „ფაზისში“ და შემდეგ ანსამბლ „ქართულ ხმებში“. ამ ანსამბლთან ერთად გოგი დოლიძემ გასტროლებით შემოიარა მრავალი ქვეყანა. მომღერალი ძირითადად მაინც საესტრადო სიმღერების შემსრულებელი იყო. ამ ჟანრით გატაცება ხალხური სიმღერების მისეულ შესრულებაშიც აისახა და განსაკუთრებული ელფერი შესძინა.

„ხმალი ავლესოთ ქართველებო“, „რაც ამ ქვეყნად სიყვარული მეფობს“, „კიდევაც დაიზრდებიან“, „საშობაო საგალობელი“, „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“ – ეს იმ სიმღერების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც მომღერალმა შეასრულა.

გოგი დოლიძე 20 წლის წინ 42 წლის ასაკში გარდაიცვალა. გარდაცვალებიდან 3 წლის შემდეგ, მომღერალი მეოცე საუკუნის საუკეთესო ქართველ მომღერალ მამაკაცად დაასახელეს. თბილისში, 24-ე სკოლის წინ, სადაც გოგი დოლიძე სწავლობდა, მისი ბიუსტი დაიდგა.

გოგი დოლიძე 62-ე დაბადების დღეზე მომღერალმა ლაშა ღლონტმა გაიხსენა:

– მსოფლიოში ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მომღერლის, გოგი დოლიძის დაბადების დღეა!!!

იშვიათია, როდესაც შემოქმედი ქმნის საკუთარ მიმართულებასა და სკოლას ხელოვნებაში, უდიდეს გავლენას ახდენს ქვეყნის უმდიდრეს მუსიკალურ კულტურაზე, იკრებს თავის გარშემო ეპოქალურ შემოქმედებს და სიმღერისა და საკუთარი ხალხის არნახული სიყვარულით გასხივოსნებული ქმნის საოცრად კეთილ გარემოს.

გოგი და მისი შემოქმედება ბუნებრივად აერთიანებს ყველა თაობის ადამიანს, რაც აქცევს მას უდიდეს საზოგადო მოღვაწედ და უფრო მეტიც: ქართველობის სიმბოლოდ!!!

აი ასეთია თითქოსდა ერთი ჩვეულებრივი თბილისელი ბიჭის „გოგიას“ ადგილი ჩვენი მომავალი ქართულ-ევროპული სახელმწიფოს იდეოლოგიის ჩამოყალიბების საქმეში!!!

უფალმა გაანათლოს მისი სპეტაკი სული!!!!

# გიორგი სუხიტაშვილი ავარიაში მოყვა



მომღერალი გიორგი სუხიტაშვილი ავარიაში მოყვა. შემთხვევა თამარაშვილის ქუჩაზე მოხდა. ავტოსაგზაო შემთხვევის შესახებ მომღერალმა ინფორმაცია სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა და სურათიც დაურთო:

– მივდიოდით მე და ჩემი „ლურჯა“ თამარაშვილზე, შუაში სკვერი როა, გოგონას გამოექცა ცუგრიკი, ჩემს წინ მიმავალმა მანქანამ ვერ დაინახა და მანქანა გაჰკრა და არც გააჩერა, ისე გააგრძელა მოძრაობა, დაბნეული და დარეტიანებული ცუგრიკი გზაზე გაჩერდა, მე დავამუხრუჭე....... კისერი მტკივა მაგრად, რადგან ორი ძლიერი დარტყმა მივიღეთ მე და ჩემმა „ლურჯამ“. მე ვინც დამეჯახა, ჰიუნდაი, იმას უკნიდან დაეჯახა იქს-5 2015 წლის, რომლის მძღოლიც გვთხოვდა, პატრულისთვის არ დაგვეძახა. მეც დამირტყამს უკნიდან სხვისთვის, ეს ხდება ხოლმე...

ვუთხარი, აქვე ბენზინგასამართ სადგურთან მივიდეთ-თქო.... მივედით და იქს-5-ის მძღოლის კითხვა: „მე ვინ მიკეთებს...“ ოეეე!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## პროგრამა

**სამშაბათი 6 სექტემბერი**

**07.00** დოკ/სერ ცნობისმოყვარეობა. გამოქვაბული" **08.00** ან/ფ "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" **09.00** ზღაპარი."პრინცესა მუხუდოს მარცვალზე" **10.00, 12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **10.10** ტ/სერ."**წინ წარმატებისკენ**" **11.00** დ/ფ "მარი კიური" **12.30** მხ/ფ "**ჯონი ინგლიში**" **14.00** ტ/სერ. "**ადვოკატები**" **15.00** დოკ/სერ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** დოკ/სერ "ცნობისმოყვარეობა. სტოუნჰენჯი" **19.00** ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" **20.00** მოამბე+მოამბის სტუმარი **21.30**"ინტერვიუ სალომე ასათიანთან ერთად" **22.10** მხ/ფ "**აუტანელი სისასტიკე**"(კ.ზეტა-ჯონსი) **00.30** მხ/ფ "**ჯუნგლების ციებ-ცხელება**"

**08.00** დ/ფ "ბალადა დედოფლისთვის" **09.00** დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** მინი/სერ "**უკანასკნელი საზღვარი**" **12.00** ტ/სერ "**ევას სამი ვარდი**" **13.00** ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "ელიოტ ნესი ალკაპონეს წინააღმდეგ" **18.00, 21.00** "არჩევნები 2016" **20.00** "მოამბე" **22.00, 01.00** ტ/სერ "**ზღვარს მიღმა**" **23.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

**05.30** სერ. "**ბამბის ველი**" **06.30** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **2** სერ. **11.20** სერ. "**სიყვარულის ჟამი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **16.00** სერ. "**თანხმობა**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **2** სერ. **22.00** ცოდნა ფულია **23.30** სერ. "**ჰეროკრატია (9+1)**" **1** სერ. **00.30** მხ/ფ "**შიდა გამოძიება**" **02.45** მხ/ფ "**ლუინ დევისის შიგნით**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45** სერ. "**გაბრიელა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**დედოფლის სევდა**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**ცხოვრების გზები**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **20.50** ლოტო **22.00** არჩევანი - **2016** ქერის უბანი **00.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**08.00** ან/ფ "**ვარსკვლავური ომები**" **09.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **12.00 59** წამი **13.30, 02.50** სერ. "**ძვლები**" **14.30** ცოლები და ქმრები **15.00** მხ/ფ "**ფანტასტიკური ოთხეული**" **17.00** აირჩიე კაბა რენდისთან ერთად **17.30** სერ. "**მსახიობი მამა**" **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 22.30** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **2** სერ. **23.30** სერ. "**ამერიკული საშინელებათა ისტორია**" **00.30** მხ/ფ "**ღამის ფერი**"

**06.10** სპექტაკლი "**მტრედის მოტანილი ბარათები**" **07.55** საქართველოს სამართლის ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** პატერიკი-ეფრემი **10.40** არის ასეთი ქვეყანა, მას საქართველო ჰქვია "ლაგოდეხი" **11.10** დ/ფ "ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქია" **11.40** საეკლესიო აღმშენებლობა "ქვათახევის მამათა მონასტერი" **12.10** მხ/ფ "**აბეზარა**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** ერთი წვეთი **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართ. ან/ფ **15.30** ტელეზღაპარი "წიქარა" **16.00** საყმაწვილო ენციკლოპედია **16.25** სიმღერის კვალდაკვალ "წინანდალი" **17.45** სიბრძნისმეტყველება "აბიბოს ნეკრესელი" **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მოკ. მხ/ფ "**მეზობლები**" **20.00** ღია აუდიტორია გიორგი ეკიზაშვილი **20.40** ძილი ნებისა "ტომი და ჯერი", "აბა დამაცადე" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **22.25** ჩვენი ფონდი "საქ.ეკლესიის სამოციქულო დაფუძნებულობის უტყუარობა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ქვიშანი დარჩებიან **00.30** ერთსულოვნების სალონი "მართმადიდებლური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნის პრობლემები" **01.00** მხ/ფ "**არსენას ლექსი**" **2** ნაწ.

**მაესტრო** **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ტატიანა**" **10.05** სერ. "**მოლოდინის სია**" **11.05** სერ. "**ვერონიკა**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.35** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **13.00, 14.05, 1.00** სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**ცხოვრება რომელიც არ ყოფილა**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.00** "ღამის კონტაქტი" **22.30** სერ. "**ესკობარი**" **0.00** სერ. "**მოლოდინის სია**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**6 სექტემბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.2938

ევრო — 2.5642

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0418

100 რუსული რუბლი — 3.4875

## ამინდის პროგნოზი 6 სექტემბრისთვის




## 3 სექტემბრიდან




ვახუშტი კოტეტიშვილი

# აკლდამა ჩემთა ოცნებათა

ქალბატონი ნანა კოტეტიშვილის მიერ შედგენილ კრებულში შესულია პოეტის როგორც ცნობილი, ასევე უცნობი ლექსები, რომლებიც მანამდე არსად ყოფილა გამოქვეყნებული.

**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**

## 2 სექტემბრიდან

ჯონ სტაინბეკი

# რუსული დღიური




სადილად ოთხასი გრამი არაყი, დიდი თასი სავსე შავი ხიზილალით, კომბოსტოს წვნიანი, სტეიკი, შემწვარი კარტოფილი, ყველი და ორი ბოთლი ღვინო მოგვართვეს. ას ათ დოლარამდე დაგვიჯდა ხუთ კაცს. იმ დროს საელჩოში დოლარად თორმეტ რუბლს ყიდულობდი. მომსახურებისთვის ორსაათ-ნახევარი დასჭირდათ, რამაც ოდნავ შეგვაშფოთა. მოგვიანებით აღმოვაჩინეთ, რომ შეკვეთის ასე გვიან მოტანა რუსული რესტორნებისთვის დამახასიათებელი ყოფილა და ისიც გავიგეთ, რა არის გაჭიანურების მიზეზი.

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## 6 სექტემბრიდან

ანდრეი ბელი

# პეტერბურგი

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**




## 8 სექტემბრიდან



ანა პოლიტკოვსკაია

# პუტინის რუსეთი

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

## 9 სექტემბრიდან



უილიამ ფოლკნერი

# სული რომ ამომდიოდა

**ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი**



## იუმორი

მაღაზიაში მამაკაცი მორიდებულად მიმართავს ახალგაზრდა ქალს:

– უკაცრავად, ხომ ვერ მეტყოდით, ამ მაღაზიის რომელ განყოფილებაში ამჯობინებდით შესვლას, თუ თან ორასი ლარი გექნებოდათ?

– კოსმეტიკის.

– დიდი მადლობა! გავიქეცი, ცოლი უნდა მოვძებნო!

●●●

კაცი ქალს ეუბნება:

– ძვირფასო, მე გავკოტრდი! ისევ ძველებურად გეყვარები?

– რა თქმა უნდა, საყვარელო, მაგრამ ძალიან დამაკლდები!

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– თუ გამაბრაზებ, დავიწყებ კურსებზე სიარულს: „როგორ გავხდეთ ანჩხლი“.

– მასწავლებლად?

●●●

ქმარი სახლში მთვრალი დაბრუნდება. ცოლი უღრენს:

– დალიე?!

– არა.

– როგორ არა, აღიარე, რომ დალიე!

– არ დამილევია.

– როგორ არ დაგილევია, ფეხზე ძლივს დგახარ. კიდევ ერთხელ გეკითხები, დალიე?!

– არა.

– კარგი, მაშინ თქვი – „გიბრალტარი“.

– დავლიე.

●●●

რესტორანში კლიენტი ოფიციანტს მიმართავს:

– უკაცრავად, შეიძლება, ეს წიწილა კიდევ ცოტათი შეწვათ?

– რა, ცუდადაა შემწვარი?

– რა ვიცი, უკვე მთელი სალათი შემიჭამა და...

●●●

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ისევ მარტო ხარ?

– ჰო.

– ცოლი უნდა მოიყვანო.

– რატომ?

– მეტისმეტად ბედნიერი სახე გაქვს...

●●●

ძალიან მთვრალი მამაკაცი სახლში წასვლას ვერ ახერხებს – ერთი ნაბიჯი წინ, სამი – უკან. მოხუცმა ქალმა უყურა, უყურა მის წვალებას და ეუბნება:

– შვილო, შეტრიალდი და უკუსვლით მიხვალ სახლში, უკუსვლით.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



# ჯენიფერ ლოურენსი დიორის რეკლამაში გამოჩნდა




ჰოლივუდის მსახიობი ჯენიფერ ლოურენსი ზედიზედ მეოთხედ გადაიღეს დიორის ხელჩანთების სარეკლამო კამპანიაში.

სარეკლამო ფოტოსესიაზე ფოტოგრაფი პატრიკ დემარშელიე მუშაობდა. გადაღებებისთვის ნიუ-იორკის ფოტოსტუდია იქნა შერჩეული, სადაც ფოტოგრაფი რეკვიზიტის მინიმალური აქსესუარების გამოყენებით, უბრალო ნაცრისფერ ფონზე უღებდა სურათებს ჰოლივუდის ვარსკვლავს.

შეგახსენებთ, რომ ჯენიფერ ლოურენსი, რომელსაც ზედიზედ მეორე წელია მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებად მსახიობად ასახელებენ, ბრენდის დიორის სახე 2012 წელს გახდა. ხელჩანთების რეკლამაში კი პირველად 2013 წელს გადაიღეს.

# ჩინეთში პლანეტის უხუცესი ადამიანი გარდაიცვალა



დედამიწის უხუცესი მცხოვრები, ჩინელი ფუ სუცინი 120 წლის ასაკში გარდაიცვალა. ამ ინფორმაციას ადგილობრივი სააგენტო „სინხუა“ ავრცელებს.

ჩინელი ქალბატონი ქალაქ ჩენდუში საკუთარ სახლში გარდაიცვალა. მისი შვილთაშვილის თქმით, ფუ სუცინის ჯანმრთელობის მდგომარეობა წლის დასაწყისიდან გაუარესდა.

თავისი უკანასკნელი დაბადების დღე ჩინელმა ქალბატონმა 21 აგვისტოს აღნიშნა. ფუ სუცინის თითქმის 70 შვილიშვილი, შვილთაშვილი და შვილთაშვილების შვილები ჰყავს. პლანეტის უხუცეს მცხოვრებ ქალად ის ორგანიზაცია Carry the Flag World records-მა 2013 აღიარა, რომელიც სხვადასხვა მიღწევებს აფიქსირებს, თუმცა სხვა მსგავს გაერთიანებებს ეს არ გაუკეთებიათ.

# ტემზაზე XVII საუკუნის ლონდონის ასლი დაწვეს



მდინარე ტემზაზე ათასობით მაყურებლის თანდასწრებით დაწვეს XVII საუკუნის ლონდონის გიგანტური ხის ასლი, რომლის სიგრძე 120 მეტრს შეადგენდა.

ასეთი სახით იქნა აღნიშნული დიდი ხანძრის 350 წლისთავი, რომელმაც თითქმის მთლიანად გაანადგურა ქალაქის ისტორიული ნაწილი.

იმ დროის ქალაქის მხატვრული ასლი განთავსებული იყო მცურავ პლატფორმაზე. შოუს ორგანიზატორი იყო კომპანია არტიჩოკი, რომელიც ექვსდღიან აქციას ლონდონ ბარნინგს ატარებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. გერმანიაში გამოყვანილი სამომსახურეო ჯიშის ძაღლი; 2. პისტოლეტის ჩასადები ტყავის ბუდე; 3. იტალიური რესტორანი; 4. გადასატანი მიმღებ-გადამცემი რადიოსადგური; 5. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, დიდი ფრინველი; 6. ინდოეთის ოფიციალური სახელმწიფო ენა; 7. ნორვეგიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 9. მეფის სიგელი; 13. უელსის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 17. აღმოსავლური ტკბილეული; 18. უქოჩრო, მოლაპარაკე თუთიყუში.

**თარაზულად:** 1. მუსიკალური ფრაზის გამეორება სხვა ხმითა და სხვა ტონალობით; 3. ზოგიერთი მცენარის მიწისქვეშა გამსხვილებული ფესვი; 8. კოლუმბიელი პოპვარსკვლავი ქალი; 10. ქართული ჩაი; 11. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 12. მაღალხარისხოვანი კერამიკული ნაწარმი; 14. მსუბუქი ტრფიალი, არშიყობა; 15. რაიონული ცენტრი კახეთში; 16. ჩამოწოლილი ნისლი, ბურუსი; 19. არაბი გლეხი; 20. სპორტის ოლიმპიური სახეობა; 21. ქერისგან მომზადებული უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**